


განმათავის უფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2012 წ. სექტემბერი * №33 * ფასი 1 ლარი
გამოცემის 2003 წლის დეკემბრიდან

სექტემბერი
მედიის დღეებში
სახელმწიფო



მსუელი
საქმუნთება

სტახანოველი დოიაჩი ბიოჩი თაჩბამაქი გვ.3
პილატეობა პოლიტიკაში გვ.15

მოქავშირული სინდრომი - პრჩვენობანას ფარსი

ლეილა კომაია



ხელისუფლების რბილ სავარძლებსა და ნეტარ ფუფუნებას დაგემოვნებული სააკაშვილის მოქავშირულ-ნაციონალური ხროვა, სახელისუფლო უმრავლესობის შენარჩუნების ინტენსიურ მზადებაშია. 1 ოქტომბრის საარჩევნო ფარსშიც. მათი ზემდღავრი ბერევეტი NDI და IRI-ს ე. წ. სარეიტინგო გამოკითხვებია, რომელშიც „უცვლელად“ ლიდერობს სააკაშვილი და ნაციონალური ხროვა. მათი ლობისტი ამერიკელი კონგრესმენები და საერთაშორისო უფლებათა დაცვითი ორგანიზაციები ლამის იმპერატიულად მოუნოდებენ, არჩევნებში მონაწილე პარტიათა ლიდერებს ხელი წინასწარ მოაწერონ არჩევნების შედეგების ცნობას.

ამ დასავლელი „კეთილისმყოფელების“ მხედველობის არეალიდან საერთოდ გამქრალია ხალხი, რომელსაც არჩევნების „დამკვირვებლების“ არმიასთან ერთად, მხოლოდ დემოკრატიული ატრიბუტიკის ფუნქცია განუსაზღვრეს, ხოლო ატრიუმის შიდა სივრცეში კი თავად მანებლურად საქმიანობენ.

მშენებლობების (რომელიც, არც გვემიური, არც მეცნიერული და არც ხარისხითაა საიმედო) მანიაკალური ჟინით ატაცებული სააკაშვილი, ნებით სიბერეშიც კი არ მოსწყდება პრეზიდენტის პოსტს (თავისი პოლიტიკური მამის – შევარდნაძის მსგავსად). მისი დაოკება მხოლოდ ხალხის მძღავრი საპროტესტო ნებითაა შესაძლებელი, რის მიზეზ-საბაბადაც უნდა იქცეს 1 ოქტომბრის არჩევნების ფარსი.

ჩვენ უნდა ვაიძულოთ მსოფლიო, პატივი სცენ ქართველი ხალხის ნებას და აღარასოდეს გაბედონ თავს მოგვახვიონ ჩვენთვის საძულველი ხელისუფლებები.

საქართველოს პოლიტიკურ წრეებში იყო მოლოდინი, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ, ავანტიურაში განაფული სააკაშვილი შეეცდებოდა საომარი (საგანგებო) ვითარების შექმნას. და აი, 28 აგვისტოს, სააკაშვილის განკარგულებით შს სამინისტრომ ჩაატარა ე. წ. ანტიტერორისტული ოპერაცია ლოპოტას ხეობაში, ვითომ, **გავრძელება გვ.2**

მოქცევირული სინდრომი - არჩევნობუნას ფარსი

დასაწყისი გვ. 1

რუსეთში გარდამავალი დაღესტნელი ტერორისტული ჯგუფის წინააღმდეგ. როგორც ჟურნალისტების გამოძიებებიდან მალევე გაირკვა, არავითარი დაღესტნელები ისინი არ ყოფილან, არამედ იყვნენ ხასავიურტელი ჩეჩენი მოჯაჰედები და პანკისის ხეობის, ანუ საქართველოს მაცხოვრებლები. სპეცოპერაციით შს სამინისტრომ 11 ჩეჩენის ლიკვიდაცია მოახდინა. მამუკა არემიძის გამოძიებით (ექსპერტი კავკასიის საკითხებში), თერთმეტივე ჩეჩენი საძილე ტომრებში იყვნენ ჩაცხრილულნი. გავრცელდა ინფორმაცია ერთი დაჭრილის გადარჩენის შესახებ, რომელიც შს სამინისტროს ჰყავს დაპატიმრებული - ჩეჩენეთის დევნილი პრემიერ-მინისტრის ახმედ ზაკაევის გარემოცვის წევრი, ცალხელა (ცალი ხელი რუსეთის ციხეში აქვს ამპუტირებული) ახმედ ჩატაევი, რომელიც 2010 წლიდან, აგრეთვე პანკისის ხეობის მაცხოვრებელია.

სააკაშვილ-მერაბიშვილის შს სამინისტრო (მინისტრი, ახალაიების ოჯახური კლანიდან, ბაჩო ახალაია) მთელი კვირა ავრცელებდა ლიკვიდირებული „ტერორისტების“ დიდძალი და უახლესი



შეიარაღების კადრებს, რაც საეჭვოს ხდიდა მათ კუთვნილებას. ასევე, ალიბის განსამტკიცებლად, მათ წარმოადგინეს სპეცოპერაციის ქართველი მსხვერპლნიც; სპეცრაზმელები: სოლომონ ნიკლაური, არჩილ ჩოხელი და სამხედრო ექიმი ვლადიმერ ხვედელიძე. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, ამ ქართველი სპეცრაზმელების ტრაგიკული მსხვერპლშენიშვნის შესახებ „ტერორისტებთან“ შეტაკების დამაჯერებლობისათვის. სპეცოპერაციის მთავარი დამკვეთი და რეჟისორი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც არც ერთი დღითაც არ ქრება ტელევიზიის ეკრანებიდან, სრული ორი დღის განმავლობაში გაყურსულ-გამქრალი იყო და მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა ყვარლის ევნახების ტრიბუნაზე ჩვეული რიტორიკით: რომ ჩვენ შემდგარი სახელმწიფო ვართ, რომ ჩვენ განადგურეთ ტერორისტები, რომ ჩვენ შეგვწევს ჩვენი საზღვრების გაკონტროლების შესაძლებლობა და ა. შ. პანკისელ მგლოვიარე ოჯახებს კი დიდხანს არ მისცეს საკუთარი მიცვალებულები, რომ მუსლიმანური წესის მიხედვით, მეორე დღეს მაინც დაეკრძალათ ისინი. მათ გლოვაც კი ალუკეთეს.

მოკლულთა ოჯახის წევრები ჟურნალისტებთან გამოთქვამდნენ გაკვირვებას, თუ რა უნდოდათ და როგორ აღმოჩნდნენ ისინი თელავის საზღვრისპირა სოფ. ლაფანყურსა და ლოპოტას ხეობაში. გაჩნდა ვერსია, რომ ლიკვიდირებული ჩეჩენები, თვით საქართველოს შს სამინისტრომ, ღამით მოტყუებით ჩაიყვანა ლოპოტას ხეობაში, ხოლო დღით, მათ წინააღმდეგ განახორციელა ცნობილი „ანტიტერორისტული“ სპეცოპერაცია. მათი ლიკვიდაციის გამო, მოჯაჰედებმა გაავრცელეს მუქარა საქართველოს მთავრობის მიმართ, რომ ისინი არ შეარჩენენ მუსლიმანი ძმების სისხლს.

არავინ იცის, კიდევ რამდენი საფრთხის რისკის ქვეშ დააყენებს საქართველოსა და ქართველ

ერს პარანოიდი სააკაშვილი თავისი მეორე და საბოლოო საპრეზიდენტო ვადის ამონურვამდე, რომლის პერიოდი, კონსტიტუციის დარღვევით, ისევე გაიხანგრძლივა (2013 წლის 5 იანვარს ეწურება და სავარაუდოდ, ოქტომბერ-ნოემბერში აპირებს არჩევნების დანიშვნას), როგორც საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მაისში უნდა დანიშნულიყო.

კარიერიზმის, სიხარბის, სექსოპათოლოგიის სინდრომით დაავადებულ სააკაშვილს არა და არ ეთმობა პრეზიდენტის ტახტი, რომელზედაც იგი განცხრომით ნეტარებს, ხოლო მისი ცრუ და ყალბი დაპირებებით კი, უბედურებაში გმინავს ქართველი ხალხი, რომელსაც გაუსხვისა ტერიტორიები და გაუყიდა პირადი თუ საერთო საკუთრება.

იხილეთ გაყიდული ობიექტების სია:

- 1) ენგურჰესი - რუსული კომპანია „რაოესი“.
- 2) ჟინვალჰესი - რუსული კომპანია „რაოესი“.
- 3) რიონჰესი - რუსული კომპანია „ენერჯ ინვესტი“.
- 4) გუმბათი 1, გუმბათი 2 - რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
- 5) ლაჯანურჰესი - რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
- 6) შაორჰესი - რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
- 7) აჭარის წყალი - რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
- 8) ვარციხე 1 - რუსული კომპანია „ინტერრაო“.
- ვარციხე 2 - რუსული კომპანია „ინტერრაო“.
- ვარციხე 3 - რუსული კომპანია „ინტერრაო“.
- ვარციხე 4 - რუსული კომპანია „ინტერრაო“.
- 9) ხრამი 1 - რუსული კომპანია „რაოესი“.
- 10) ხრამი 2 - რუსული კომპანია „რაოესი“.
- 11) ხრამი 3.
- 12) ხრამი 4 - აშენების ნებართვებიც „რაოესი“ ევალება ხელშეკრულებით.
- 13) ხრამი 5.
- 14) ყაზტრანსგაზ თბილისი - რუსული კომპანია „გაზპრომი“.
- 15) გაზგამანაწილებელი კომპანია „იტერა“ - რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.
- 16) შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ - რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.
- 17) გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი - რუსული კომპანია „ინტერრაო“.
- 18) გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი - რუსული კომპანია „ინტერრაო“.
- 19) მალალი ძაბვის გადამცემი 500 კილოგრამი ხაზები - რუსული კომპანია „ინტერრაო“.
- 20) „მადნეული“ - რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.
- 21) „კვარციტი“ რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.
- 22) საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან - „რუსეთის რკინიგზა“.
- 23) კომპანია „ბილაინი“ - რუსული კომპანია.
- 24) „აზოტი“ - რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.
- 25) გაერთიანებული ქართული ბანკი - რუსული კომპანია „ვითიბი“.
- 26) „ლუკოილი რუსული კომპანია“ ლუკოილი.
- 27) ზესტაფონის „ფერო“ - რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.
- 28) ელმავალშენებელი ქარხანა - რუსული კომპანია „დემო კომპიუტერი“.
- 29) არამიანცის, თბილისის №1 საავადმყოფო - რუსული კომპანია „ბატუსი“.
- 30) თბილისის წყალი - რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ პაუერი“.

მოსალოდნელია თუ არა „ლიბოროსტები“ საპარლამენტო ჩინოკარნასში?

მიხეილ სააკაშვილის ცოფიანი ოპონენტი „ლეიბორისტები“, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, შეიძლება (არა სრული შემადგენლობით, მაგრამ 4 კაცით მაინც) პარლამენტში მოხვდნენ. ამგვარი „დათობა“ ნათელაშვილის პარტიის მიმართ, სწორედ მათგან შერისხული სააკაშვილის მხრიდანაა მოსალოდნელი.

ნატოში განევრინებაზე მეოცნებე სააკაშვილს, შალვა ნათელაშვილი და მისი გუნდი, რუსეთთან პოლიტიკური ბალანსისთვის ჭირდება. „ლეიბორისტები“ არ არიან მიდრეკილი ქუჩის რადიკალური ოპოზიციისაკენ და მათთან ერთიანობით საფრთხეს არ უქმნიან ხელისუფლებას: სააკაშვილის ცოფიანი ლანძღვით გულის ფხანა სააკაშვილისთვის თმენის დემოკრატიული ვალდებულება და ამიტომ არასოდეს უცდია მათთვის ამ სიამოვნების შეზღუდვა, ან ალკვეთა. თუმცა, „ლეიბორისტები“, საკუთარ პარტიას ყველაზე რადიკალურ, ყველაზე მეტრძოლ, ყველაზე წამებულ (მათი განცხადებით: „ტერორისტულ აქტებს უწყობს ხელისუფლება“) პარტიად მიიჩნევენ.

ამ საპარლამენტო არჩევნების წელს, „ლეიბორისტული პარტია“, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლებისა და უზენაესი საბჭოს განსაკუთრებულ მოამაგედ მოგვევლინა და რამდენიმე შეკრებაც გამართა საკუთარ ოფისში ზვიადისტურ ფრთასთან. ჩვენ კი სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ მისი ეს ნადილი ფარსიველობის ნიშნით არის დადასტურებული; და აი, რატომ!

1993 წლის 24 სექტემბერს რესპუბლიკის დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქვეყანაში დაბრუნდა და კონსტიტუციური კანონიერების აღდგენა დაიწყო. ამ კრიტიკულ მომენტში, შალვა ნათელაშვილმა, რომელიც 1992 წლის 11 ოქტომბრის ხუნტის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე იყო, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ (№235/763), 29 ოქტომბერი, 1993 წელი) განუცხადა: „რესპუბლიკა დღეისათვის ცხოვრობს და მუშაობს 1992 წლის ნოემბერში მიღებული ძირითადი კანონით „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“.



აქედან გამომდინარე, სამართლებრივად ძალადაკარგულია საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია, შემდგომი ცვლილებებითურთ და მასთან ერთად პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ინსტიტუტიც ბათილია“.

ასე „გააუქმა“ შალვა ნათელაშვილმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ინსტიტუტი 1993 წელს.

შალვა ნათელაშვილის აღნიშნული „ვერდიქტი“ გამოიცა იმ დღეებში, როდესაც ედუარდ შევარდნაძის უზურპატორული რეჟიმის დასაცავად საქართველოში შემოჭრილი იყო რუსეთის სამხედრო ძალები ადმირალ ბალტინის სარდლობით.

ეს კი, სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა, ფსევდოსამართლებრივი საფარის შექმნა, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების განადგურების სამხედრო ოპერაციისათვის.

არ არის გამორიცხული, ამ ანტიეროვნულ-ანტი-სახელმწიფოებრივი „დამსახურებისთვისაც“ შეიყვანოს სააკაშვილმა პარლამენტში ნათელაშვილი.

სტახანოვილი დოიაკი ბიოკბი თაბამაქე

„კაცი ის არის, ვინც საზოგადო საქმის დროს პირადობას ივიწყებს.“

აპაპი

რუსული საბჭოთა იმპერიის კლანჭებიდან თავდახსნილ საქართველოს მკაცრი განაჩენი გამოუტანეს და ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს ისტორიული განაჩენი ქართველთა ხელით აღასრულეს.

დღევანდელი, ქართული პოლიტიკური სპექტრი (1992 წლიდან მოყოლებული), გადაძეგვილია ათასი ჯურის მედროვე შარლატანით, უიდეო, უპრინციპო და ქვენა გრძობების მქონე არსებებით, რომელთათვისაც, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „სამშობლო რასა მიქვიან, მენყერსაც წაუღიაო!“ და მგონი, მართლაც მიაქვს, ამათგან განწირული ჩვენი სამშობლო მენყერს.

მიაქვს და ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მენყერს ვერ დასდგომია ჯებირად დღევანდელი თაობა, პირიქით, ეს ოცი წელიწადია ხელსაც კი უწყობს ამ პროცესს ჩვენი საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილი.

მრავალ მეთოდსა და ხრიკს იყენებს მტერი ქართველთა მოდგმის ამოსაძირკვად. იქნება ეს ცრუ არჩევნები თუ ცრუ რეფოლუციები — აღმსრულებლები კვლავაც და კვლავაც ქართველი კვისლინგები, მანქურთები თუ გვარნაცვალი უცხო ტომელები არიან. ამგვარ კატეგორიებს ფულის კეთების, სიმდიდრისა თუ ფუფუნების მოხვეჭის ასპარეზად პოლიტიკა გაუხდიათ. გუშინდელი ლატაკები დღეს სოლიდური სიმდიდრის მფლობელები გამხდარან და ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ ამ მოხვეჭილის დანარჩუნებასა და გაზრდას.

კვლავ არჩევნობანას ჟამი უდგას საქართველოს. ამ არჩევნობანაში, თხემით ტერფადის არიან ჩართულნი ძველი თუ ახალნაყარი ავაზაკნი. მათ შორისაა ცხრა პარტია და ცხრა პატრონგამონაცვალი გიორგი თარგამაძე.

თუ გადავხედავთ მის ცხოვრებისეულ გზას დავრწმუნდებით, რომ ეს პერსონა თვალთმაქცობის, ყალბაბანდობის, ინტრიგების ხლართვის უდავოდ თანდაყოლილი ნიჭითაა დაჯილდოებული. ოღონდ სარგებელი ნახოს და მისთვის არ არსებობს არავითარი იდეა, მრწამსი, ერთგულება ვისმეს ან რაიმეს მიმართ. ფამილიარული თავაზიანობით ყოველთვის ცდილობს ნამდვილი სახის დაფარვასა და ჟონგლიორული სიმარდით მოხდენილად ცირგებს დემოკრატიულობის ნიღაბს, არადა — პირნავარდნილი ყვარყვარეა!

გადავხედოთ ვიკიპედიაში არსებულ მის მშრალ ბიოგრაფიას:

გიორგი თარგამაძე (დ. 22 ნოემბერი, 1973, თბილისი) — ქართველი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი. სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი 2008 წლიდან დღემდე. პოლიტიკური პარტიის „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ დამფუძნებელი (ამ ბიჭში ქრისტიანობის ნატამალი რომ არ არის, ამის დასტური მთელი მისი ცხოვრებაა — ა. ს.).

2003-2008 წლებში იყო ტელეკომპანია „იმედის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დირექტორი, ანალიტიკური პროგრამა „დროების“ ავტორი და წამყვანი, 1999-2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთიანი საქართველოს“ ხელმძღვანელი.

კარიერა

გიორგი თარგამაძე დაიბადა 1973 წლის 22 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულის წინა დღეს, რის გამოც მისმა მშობლებმა — ჟანა ვაჩიშვილი და რობერტ თარგამაძე ახალშექმ-

ნილ ვაჟს გიორგი დაარქვეს. საშუალო განათლება მე-18 სკოლაში მიიღო, სადაც რვა კლასის ჩათვლით სწავლობდა. ამის შემდეგ კი სწავლა ნიკიფორე ირბახის სახელობის პოლიგრაფიულ სასწავლებელში განაგრძო.

1991-1999 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ სწავლის დაწყებამდე, 1987-1991 წლებში, საყმანვილო გადაცემა „თვალსაწიერის“ წამყვანი იყო, რამაც გავლენა მოახდინა მის პროფესიულ არჩევანზე.

თეორიული ცოდნის შეძენის პარალელურად პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა, 1991-1993 წლებში ტელეკომპანია „იბერვიზიაში“ იყო საინფორმაციო პროგრამა „მონიტორისა“ და ანალიტიკური გადაცემა „დაიჯესტ-მონიტორის“ წამყვანი.

1993-1995 წლებში — აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტის თავმჯდომარე;



• 1995-1997 წლებში — ტელესტუდია „ბათუმის“ დირექტორი;

• 1997-1999 წლებში — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პრეს-მდივანი.

პოლიტიკა

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და სოციალური ვითარებიდან გამომდინარე, 26 წლის ასაკში თარგამაძემ გადაწყვიტა აქტიურად ჩართულიყო პოლიტიკურ პროცესებში. 1999 წელს იგი პარლამენტის წევრი და ფრაქცია „ერთიანი საქართველოს“ ხელმძღვანელი გახდა. 2002 წელს პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საქართველოს პარლამენტი და მუშაობა დაიწყო ტელეკომპანია „იმედში“.

2003 წელს გიორგი თარგამაძე ჟურნალისტურ საქმიანობას დაუბრუნდა. 4 წელი იგი ტელეკომპანია „იმედის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. პარალელურად იყო ყველაზე რეიტინგული გადაცემა „დროების“ ავტორი და წამყვანი.

2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ გიორგი თარგამაძემ და მისმა მეგობრებმა დატოვეს ჟურნალისტიკის სფერო და 2008 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, დააარსეს პოლიტიკურ პარტია — „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“. რომლის თავმჯდომარეც გიორგი თარგამაძე გახდა.

გიორგი თარგამაძის ხელმძღვანელობით, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ მონა-

ნილობდა 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში. ახალბედა პარტიამ წარმატებას მიაღწია და საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნა პოლიტიკური ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატიული“.

2010 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში პარტიამ გაუმჯობესებული შედეგი აჩვენა და საქართველოს მასშტაბით მეორე, ხოლო თბილისის მასშტაბით მესამე ადგილი დაიკავა.

დღეისათვის „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ საკუთარი წარმომადგენლები ჰყავს, როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე დედაქალაქისა და ქვეყნის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

ეს ინტერნეტში არსებული ოფიციალური მონაცემებია.

ყურადღება გავამახვილოთ ბოლო ოთხ აბზაცზე. რადიკალური ოპოზიციური ტელეკომპანიის ერთ-ერთი სოლიდური ფიგურა აარსებს ახალ პარტიას, დაარსებიდანვე ეს პარტია იხვეჭს „თავბრუსდამხვევ“ პოპულარობას, მონაწილეობას იღებს იმ დროიდან მოყოლებული ყველა დონის არჩევნებში და ლეზულობს წარმატებებს.

აშკარაა, რომ ეს პარტია ხელისუფლების სატელიტი და სათადარიგო ნაწილი, საჩვენებელი ოპოზიციაა. ასეც ხდება, თუ ადრე კომუნისტებს საჩვენებელი ძროხა კამელია ჰყავდათ, დღეს მათ სულიერ და ხორციელ შთამომავლებს, საჩვენებელი ოპოზიციონრები ჰყავთ. ჩვენი მოსაზრების დასადასტურებლად მოვიყვანთ ამონარიდს გაზეთიდან „ვერსია“, სადაც ბატონი თარგამაძე ამართლებს ჩვენს მოსაზრებას: გიორგი თარგამაძე: „სრული იდიოტი უნდა ვიყო, ვინმე დავარწმუნო, რომ ხელისუფლებას არ შეეუთანხმდი — პირიქით!“ (9 აპრილი 2012 გაზეთი „ვერსია“).

გიორგი თარგამაძე, ჯერ კიდევ 2005 წლის დეკემბერში ჩანერილ, მაგრამ გამოუქვეყნებელ ინტერვიუში ჩვეული პირუთვნელობით ამხილა, საქართველოს მტრების მიერ შუბლში ტყვიადახლილმა მამულიშვილმა, გურამ შარაძემ. ეს ინტერვიუ მცირედი შემოკლებით გამოქვეყნდა გაზეთ „განმათავისუფლების“ 2009 წლის მე-19-ე ნომერში და აგრეთვე, შეგიძლიათ იხილოთ გურამ შარაძის საზოგადოების ვებ-გვერდზე: <http://guramsharadze.wordpress.com/gamosatxovari/2009-2>

„თარგამაძეზე არის ნათქვამი: „ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა“. სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა პირველად რომ გავიცანი. 1993 წელს კოლხური კოშკის დაწვავზე რამდენიმე რეპორტაჟი გავაკეთებინე „იბერვიზიისთვის“... მოგეხსენებათ, 1994 წელს სამუშაოდ გადავედი ასლან აბაშიძესთან. მასთან ვაქე და ვადიდე. ასლან აბაშიძე მაშინ ჭკუაზე იყო, ჯერ კიდევ არ ჰყავდათ გადაყვანილი ჭკუიდან მის მეგობრებს, მათ შორის გიორგი თარგამაძეს...“

18 წლის თარგამაძე გახდა მინისტრი. მერე გალსტუკიანი გიორგი თარგამაძე გადაჯინდა და დაიწყო ცუნცულ-ცუნცული. მომდიოდა ხმები მის ავკაცობაზე და ამბების მიტან-მოტანაზე. ასლან აბაშიძემ რომ პარკი გააშენა, იმის მშენებლობის ერთ-ერთი დათვალეირებაა და მოვკიდე ხელი თარგამაძეს, მივიყვანე ასლან აბაშიძესთან და ვუთხარი: „აბა, ეხლა თქვი, რას ელაპარაკები მას ჩემზე ყურში, ჩემს ზურგს უკან!“. ნახდა, გაშავდა... „მეტი აღარ დაგინახო ჩემზე ილაპარაკო, არც ჩემს ზურგს უკან და არც ისე-მეთქი“...“

თბილისში რომ იყო „ალორძინების“ საარჩევნო შტაბის უფროსი, მაშინ მიხვდა აბაში-

დასასრული მე-4 გვ.

სტახანოვილი დოიაკი ბიოკბი თაბამაძე

დასაწყისი გვ. 3

ძე, რაშიც იყო საქმე. თარგამაძემ დაასწრო და სანამ გამოადგებდნენ, თვითონ დატოვა პარლამენტი და „ალორძინება“. აი, კაცი! კაცად აქცია ჯერ გურამ შარაძემ, მერე აბაშიძემ, ორივეს უღალატა, ორივე გადაადგო... აბაშიძის „ალორძინების“ ქერის ორმოდან მოხვდა ბადრი პატარკაციშვილის კიდევ უფრო დიდ ქერის ორმოში — გახდა „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი და დღეს წარმატებით ასრულებს ხელისუფლების დავალებას, რომ გურამ შარაძე არ გამოჩნდეს ეკრანზე... ალბათ, პატარკაციშვილს რომ დაიჭერენ ან აქ, ან რუსეთში, იგივეს იზამს...

„ვარდების“ რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ დღეს მირეკავს ბადრი პატარკაციშვილი და მეკითხება, რა დაგიშავე, რატომ მლანძღავო? სად-მეთქი და აგერ თარგამაძე გამოვიდა და თქვა, გურამ შარაძემ ბადრი პატარკაციშვილი გალანძღა ერთ-ერთ მიტინგზეო. მე ვუთხარი — ეხლავე მივალ თარგამაძესთან, — და მივარდი „იმედში“. ვეუბნები, მისი მეუღლეც იქ იყო, — ამოიღეთ ჩანაწერი, სადაც მე ამას ვამბობ-მეთქი. — გვაპატიე, ბატონო გურამ, ახლავე გამოვასწორობთო. მაშინ იყო, რომ „ლამის ქრონიკაში“ მიმინვიეს, მეფერენ, მაგრამ მე მაინც ვთქვი ჩემი სათქმელი. რა მქონდა მე გიორგი თარგამაძესთან გასაყოფი ან საბრძოლო?! ასლან აბაშიძეს ხომ გადმკიდა და ახლა პატარკაციშვილის გადაკიდება მოინდობა.

გენსომებათ, თუ როგორ ჩააკითხა ამასწინათ ჰოლანდიაში ექსკლუზიური უფლებით ოჯახური იდილიის გასაშუქებლად პირადად თარგამაძემ სააკაშვილს... ხვალ თუ ზეგ, „დროებაში“ უნდა იყოს მისი თავის მომჭრელი მლიქვნელობის დოკუმენტი -... სააკაშვილის დაბადების დღე ვის დაკარგავია, კაცოო?!... ახლა ცხოვრებული ბატონი გურამის სიტყვები, მან ასევე ვერაგულად უგანა ბადრი პატარკაციშვილსაც.

გიორგი თარგამაძეს თანდაყოლილი ფიგაროობა სჭირს. როგორც ინტერნეტ სივრციდან ვგებულობთ, მას ჭიპი ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში საბჭოთა ტელევიზიაში აუჭრია, სადაც ის რედაქტორადც გაუმწესებიათ. ალბათ მამამისის ჩალიჩით, რომელიც იმ დროს ტელევიზიაში ტელეოპერატორად მუშაობდა.

1992-1993 წლებში მოღვაწეობას „იბერევიზიაში“ განაგრძობს, რომლის დაფინანსებასაც „მხედრიონს“ მიანერდნენ, ხოლო 19 წლის ასაკში უკვე ასლან აბაშიძის კარზე ხვდება. იგი ჯერ აჭარის „დამოუკიდებელი“ ტელერადიოკომპანიის დირექტორი ხდება, ხოლო შემდეგ — აჭარის უზენაეს საბჭოსთან არსებულ ტელერადიოკომპანიას ხელმძღვანელობს. თუმცა, მისი საქმიანობა ამით არ შემოიფარგლება, იგი სწრაფად წინააღრდეგა და აბაშიძის კარზე თავისებურად ალაგებს ურთიერთობებს. თბილისიდან ჩასული ჩინოსნებისთვის იგი იქცა „საჭირო კაცად“, მას უკვე შეუძლია გააფუჭოს ან გამოაკეთოს ურთიერთობები. (ხელიკობანა. თამარ დავითულიანი. <http://www.geworld.ge/View.php?ArtId=2936&lang=ge&Title=xvlikianoba>).

ინტერნეტ სივრცეში არსებული თამარ დავითულიანის წერილიდან იმასაც ვგებულობთ, რომ „1997-დან 1999 წლამდე — ცენტრთან დაპირისპირებული რეგიონის ლიდერის, ასლან აბაშიძის პრესამსახურსაც ხელმძღვანელობდა და იმავე დროს თბილისში, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციაში რეჟი-

სორის ასისტენტადც მუშაობდა და აჭარის განყოფილების საკუთარ კორესპონდენტადც!“

აი, ორსკამზე მჯდომი ყალთაბანდობის ეტალონი!

დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს თამარ დავითულიანის წერილს, რაც საკმარისი იქნება ავანტიურისტი გიორგი თარგამაძის პერსონის სრულყოფილად გასაცნობად.

ასლან აბაშიძესთან განშორების შემდეგ გიორგი თარგამაძეს ახალ მემარჯვენეებთანაც უცდია შეძრომა, მაგრამ წარუმატებლად...

შემდეგ, ტელეკომპანია „იმედი“, რომლის ტრავიკული ამბები კარგადაა საქართველოსთვის ცნობილი. ჟურნალისტი ელისო კილაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამხელს გ. თარგამაძის მზაკვრობასა და არაადამიანობას: „- 7 ნოემბერს, როცა სპეცრაზმი ინგა გრიგოლიას და თეა ადეიშვილს ტყე-ტყე მისდევდა... ახლაც ყურში მიდგას



ადეიშვილის განწირული კვილი... მაინტერესებს, როგორ მოახერხა გიორგი თარგამაძემ და მისმა ოჯახმა სპეცრაზმით სავესე „იმედის“ დატოვება? რომელმა ჩინოვნიკმა გამოიყვანა სამშვიდობოს? ექსკლუზიურად გეუბნებით: ხელისუფლებიდან „იმედის“ ჟურნალისტების გადაბირება ევალებოდა გივი თარგამაძეს, რომელსაც ლამ-ლამობით ჟურნალისტები პარლამენტში საშვების გარეშე შეჰყავდა... გიორგი თარგამაძე კი ამბობენ, რომ 7 ნოემბერს ერეკლე კოდუამ გამოიყვანა „იმედიდან“. ასევე, დასახელდა ლევან ვეფხვაძის ცოლისძმა, გვარად ჩიქოვანი, რომელიც კუდის მაღალჩინოსანია...

სხვათა შორის, პატარკაციშვილი, როგორც ამბობენ, ასლან აბაშიძემ გიორგი თარგამაძის შესახებ გააფრთხილა, მაგრამ პატარკაციშვილმა ეს გაფრთხილება ყურად არ იღო, რასაც ბოლოს ძალიან ნანობდა...

მოკლედ, ისინი ბადრის ერთგულები მანამ იყვნენ, სანამ კარგად უხდიდათ, მაგრამ მერე სარფიანად გაყიდეს. საპარლამენტო მანდატები ერთადერთი სიკეთე არაა, რაც გიორგი თარგამაძემ ხელისუფლებისგან მიიღო.“ (გიორგი თარგამაძის გაუხმაურებელი ცოდვები, ვანო პავლიაშვილი, „ქართული სიტყვა“).

და განა მარტო თარგამაძე? ასეთი პოლიტიკური მოხეტიალეებით არის ძირითადად მისი პარტია „დაკომპლექტებული“. მაგალითად, მისი მარჯვენა ხელი და იდეოლოგი ლევან ვეფხვაძე, რომლის მეუღლე გიორგი ბარამიძის აპარატში მუშაობს და მას თან დაჰყვება თანამდებობის მონაცვლეობისას. აი რას ვგებულობთ თ. დავითულიანის წერილიდან: „ვიდრე გიორგი თარგამაძე და მისი პროდიუსერი — ლევან ვეფხვაძე სააკაშვილის ხელისუფლებას „დროებაში“ ამათრახებ-

ნენ, ნათია ჩიქოვანი შინაგან საქმეთა მინისტრის პრესცენტრს ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი ძმა მირიან ჩიქოვანი დღესაც კუდის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია და სხვადასხვა ღონისძიებებზე სააკაშვილის მომხრეთა მიყვანითა და კონტროლით არის დაკავებული. ჟურნალისტები ლიად წერენ იმაზე, რომ სწორედ ვეფხვაძის ცოლის ძმის მითითებით მოქმედებენ მიშასთან შეხვედრაზე მიყვანილი ადამიანები, რომ იგი ანიშნებს, ვინ უნდა მოეხვიოს მიშას და ვინ არა.

ლევან ვეფხვაძისა და გიორგი თარგამაძის ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა ერთი „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ფრთაში — სმაკში მოღვაწეობდა, მეორე კი ასლან აბაშიძის „ალორძინებაში“. (ხელიკობანა. თამარ დავითულიანი. <http://www.geworld.ge/View.php?ArtId=2936&lang=ge&Title=xvlikianoba>).

ამდენ ხეტიალში გიორგი თარგამაძემ მშვენივრად აიწყო ცხოვრება, შეიძინა სახლები თბილისსა და ბათუმში... ქობულეთის ფიჭვნარში რამდენიმე ჰექტარი და არც უცხოეთში ვოიაჟებს იკლებს მეორედ დაქორწინებული ოჯახითურთ.

კარგა ხანს წველა გიორგი თარგამაძემ ბადრი პატარკაციშვილი, ხოლო როცა ბადრი პატარკაციშვილის თავზე პირქუში ღრუბლები ჩამოწვა, მასაც უგანა. ეს მოვლენები ერთობ ბნელითაა მოცული. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ნათელი გახდება, თუ რა როლი ითამაშა გ. თარგამაძემ პატარკაციშვილის ტრაგედიაში, და არა მარტო მან...

როგორც დავინახეთ გიორგი თარგამაძე უბადლო მწველავია, ცოტა ადრე რომ დაბადებულიყო, ნამდვილად გახდებოდა საბჭოთა სტახანოვილი დოიაკი.

ჩვენი წერილის მთავარ გმირად გიორგი თარგამაძე ავირჩიეთ, ქოჩრით ამოვნიეთ იმ მყრალი წუმშიდან, სადაც ეს ჯოჯოები და ერცახე ცერეცოები ხვართქალებენ. როგორც ზემოთ ვთქვით, ქართული პოლიტიკური გაღერეა მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი პერსონებითაა სავსე. გვეგონა ბევრი მათგანი ისტორიას ჩაბარდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, გამოჩნდა მათი რენიმატორი და ცოცხალი გვამები შეჰყარა „ქართულ ოცნებაში“.

ორიოდე სიტყვა ამ წარმონაქმნზეც; არც ესაა ნამდვილ ქართული, არამედ გადმოკოპირებულია „ამერიკული ოცნებიდან“ — The American Dream. და ამგვარი ასლები რა დღეშიც გვაგდებს მშვენივრად ვხედავთ. იქნებ ამაზეც ღირდეს დაფიქრება?

ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს, უთუოდ გულმავინყობა ანუ სკლეროზი დასჩემდა, ივინყებს და მხედველობაში არ იღებს ამა თუ იმ ავაზაკის მოლაღატურ ქმედებებს. გუშინდელ დამნაშავეებსა და ქვაბავაზაკებს თავისი ხელით რეცხავს, სახამებელში ავლებს, აუთოებს და გზას უღოცავს საქართველოს წინააღმდეგ სათარეშოდ. ასე იყო რამდენიმე წლის წინათ, როდესაც დაუჩოქეს შევარდნაძეს და შევედრენ გაეგრძელებინა საქართველოს დაქცევა. ასევე განმინდა და გააუთოა ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე, ძველი კომინისტური ნომენკლატურა...

ქართულმა საზოგადოებამ ჩვეულებრივი გულგრილობითა და ინდიფერენტობით აპატია შევარდნაძის ნაზარდ-ნაწრთობ მიხეილ სააკაშვილს გორში მიწაზე ფორთხალი. განა, თავმოყვარე ერი, დღემდის იგუებდა, შიშით ყმანვილივით აკივლებულ და მოფართხალეს ქვეყნის მეთაურად და მთავარსარდლად?

ჩვენდა სავალალოდ, ასეც ნავხდით!

ალექსანდრა სანდუხაძე

პოლიტიკატიმარმა ცოტნე გამსახურდიამ კვლავ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა



თავზარდამცემი ცნობა გავრცელდა რუსთავის N17 სასჯელაღსრულებიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ცოტნე გამსახურდიამ, 8 სექტემბერს, კვლავ უვადო შიმშილობა გამოაცხადა. ცნობა იმდენადაა თავზარდამცემი, რამდენადაც მას, მრავალჟღერადი და ხანგრძლივი საპროტესტო შიმშილობების შედეგად საგანგაშოდ შერყეული აქვს ზოგადად ჯანმრთელობა, ხოლო განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობაში აქვს ძვლები. პოლიტიკატიმარ ცოტნე გამსახურდიას ამჟამინდელი მოთხოვნებია:

1. ფართო საზოგადოების მხრიდან უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საქართველოში პატიმართა მდგომარეობას. 2. ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა ჩაუტარდეს ყველა დასწრეულ პატიმარს და მათ შორის მას.

ცოტნე გამსახურდია, სააკაშვილის დიქტატორულ-ტირანული რეჟიმის მიერ უკანონო პატიმრობაში იმყოფება 2009 წლის 28 ოქტომბრიდან და 13 წელი აქვს მისჯილი. პოლიტიკატიმრის განცხადებით მას, სააკაშვილის რეჟიმი აიძულებს დაწეროს თხოვნა შეწყალებაზე, რაზეც იგი კატეგორიულ უარს აცხადებს. ერთ-ერთი უფროსი პატიმარის მიცემულ ინტერვიუში ცოტნე გამსახურდია ამგვარად ამხელს სააკაშვილისა და ხათუნა კალმახელიძის ციხის რეჟიმს:

„აქ კატასტროფული სამედიცინო ვითარებაა. პრაქ-

ტიკულად ყველა დაწესებულებაში პატიმრები წამლებსა და სამედიცინო მომსახურების მწვედვ დეფიციტს განიცდიან, თითქმის არ არსებობს საჭირო სამედიცინო აპარატურა. განსაკუთრებით მძიმე დღეში ავდებენ პატიმრებს, ვისაც ადრე პროტესტი გამოუთქვამს ან საჩივრით მიუმართავს საკუთარი მდგომარეობის გამო. სადის ხელმძღვანელობა ელოდება მათი ჯანმრთელობის დამძიმებას და ამრიგად აიძულებს უარი თქვან პრეტენზიებზე.

ყველაზე ამაზრზენი ის არის, რომ ციხის სამკურნალო დაწესებულება უკვე წლებია ნამდვილ ჯოჯოხეთადაა ქცეული. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმრები ბოლოს იქ გადააყვავთ ხოლმე, სადაც ისინი მკურნალობის ნაცვლად ცემისა და წამების მსხვერპლნი ხდებიან. თუ პატიმარი ამ ყველაფერს გადაურჩა, 1-2 კვირაში უკან გამოავდებენ და გაგზავნიან დაწესებულებაში, საბუთებში კი უტიფრად წერენ, რომ მას მკურნალობა ჩაუტარდა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ადამიანები იქვე იხოცებიან. სწორედ ამიტომ ბევრი პატიმარი უარს ამბობს ციხის საავადმყოფოში გადასვლაზე.

ჩვეულებრივი ამბავია ე.წ. ეტაპირებისას პატიმრების სასტიკად, უმოწყალოდ ცემა. ცემენ ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებსაც კი, მაგალითად, ქსნის ტუბოზონაში მიღებისთანავე პატიმრის ცემა მიღებული პრაქტიკაა, რათა პატიმარს ასე ვთქვათ, თავში არ აუვარდეს(!).

ციხის საავადმყოფოსა და გლდანის საპრობოლის გარდა, უმძიმესი ვითარებაა ქალთა კოლონიაში და იმ დაწესებულებებში, სადაც „კანონიერი ქურდები“ ჰყავთ. ეს დაწესებულებები გარე დამკვირვებელთათვის პრაქტიკულად დაკეტილია და ჯოჯოხეთადაა ქცეული.

სიტყვა „ჯანმრთელობის“ მნიშვნელობაც კი დამავინყდა. ჩემი მდგომარეობა დღითი დღე უარესდება, ხოლო საღი მკურნალობის ჩატარებაზე უარს მეუბნება. ერთადერთი, რაც მძღვინებებს, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატებია, რომელიც ჩემს ნათესავებს მოაქვთ დაწესებულებაში. ფაქტობრივად, დაინვალიდებული ვარ“.

ცოტნე გამსახურდია 36 წლისაა.

პოლიტიკატიმრის ადვოკატის ქეთი ბექაურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოშიმშილე ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ, 11 სექტემბერს, ადმინისტრაციის რეჟიმიმ განახორციელა ძალადობა და იგი კარცერში გადაიყვანა. პატიმარს სახეზე ეტყობა ძალადობის ნიშნები, რაც იმავე დღეს უარყო მინისტრ კალმახელიძის უწყებამ და პატიმრის სახეზე სისხლიანი ნაჭდევები საავადმყოფოში გადაყვანის დროს დაცემის შედეგით ახსნა.

ქეთივან ჭანტურია

პრესრელიზი

2012 წლის 9 სექტემბერს რუსთავის სადის №17 დაწესებულებაში მოშიმშილე პოლიტიკატიმარ ცოტნე გამსახურდიას მიუყენეს სხეულის მრავლობითი დაზიანებები. რის შესახებაც მისი დამცველისთვის ცნობილი გახდა მეორე დღესვე, 10 სექტემბერს. ცოტნე გამსახურდია 11 სექტემბერს მოინახულა სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგისა და პრევენციის ჯგუფის წარმომადგენელმა მათა გიგინიუშვილმა და ექიმმა ლევან ლაბაურმა, რის შესახებაც დაილო ცოტნე გამსახურდიას სხეულის დაზიანების შესახებ პირველადი სამედიცინო მონაცემები. რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულ ცოტნე გამსახურდია მთელს სხეულზე, კერძოდ თავისა და სახის არეში, შუბლის მიდამოში, ზედა და ქვედა კიდურების არეში, მარჯვენა მხარის წინა და უკანა ზედაპირებზე, ზურგზე ხერხემლის მალევის გასწვრივ, იდაყვის მიდამოში მარჯვნივ, მარცხენა ბეჭის ძვალზე და მარცხენა თირკმლის საპროექციო არეში აღინიშნება მრავლობითი სისხლნაღვლები, ნაჭდევები და ექსკორაციები, ასევე მრავლობითი დაჟეირობები.

უფლებადამცველები აპროტესტებენ სახალხო დამცველის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ თითქოს ცოტნე გამსახურდიამ აღნიშნული მრავლობითი დაზიანებები მიიღო დაცემის შედეგად. ვინაიდან აშკარაა დაზიანებათა სიმრავლე და ლოკალიზაცია, ცალსახად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ ადგილი ჰქონდა წამების და არადამიანურ მოპყრობას.

11 სექტემბერს, შუადღისას მოშიმშილე მსჯავრდებულ ცოტნე გამსახურდიას რუსთავის სადის №17 დაწესებულების მიერ მალულად იქნა გადაყვანილი სადის №18 სამკურნალო დაწესებულებაში, რათა დაეფარათ დანაშაულის კვალი.

უფლებადამცველები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქნეს ცოტნე გამსახურდია საპროტესტო ტიპის კლინიკაში გამოკვლევებისა და ადეკვატური მკურნალობის ჩასატარებლად.

დაუყოვნებლივ იქნას დაშვებული ცოტნე გამსახურდიასთან ნეიტრალური დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტები და ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურუხებელი მთელს პასუხისმგებლობას აკისრებენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს სათუნა კალმახელიძეს, იუსტიციის მინისტრს ზურაბ აფიშვილს და საკარტოვლოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.

1
გამოსაკვლევი პირი - ცოტნე გამსახურდია
ადგილი - სად N2 დაწესებულება
თარიღი - 11.09.2012
განათება - დღის, ზუნებრივი


დაზიანებების აღწერა:
მარცხენი, თხემის მიდამოში აღინიშნება ორი პარალელური ნაჭდევი: პირველის ზომაა დაახლოებით 8 სმ, სიგანე 0.5 სმ; მეორე, მისგან პარალელურად, სიგრძით 5.5 სმ, სიგანე 0.2 სმ. ზედაპირი ალაგ-ალაგ დაფარულია ფუფხით. ნაჭდევის ირგვლივ აღინიშნება პიპრეზიული ზონები. მარჯვენა თხემის ძვლის და ასევე შუბლის ძვლის ქივიის პროექციაზე აღინიშნება გავრცელებული სისხლნაღვლები, მათგან ყველაზე დიდი ოვალური ფორმისაა, ზომით 4x4 სმ-ზე; მისგან ოდნავ მოშორებით, შუბლის მიმართულებით აღინიშნება 2x1.5 სმ სიდიდის მქონე დაეცილი უბანი. აღნიშნულ დაზიანებებს შორის აღინიშნება ირიბი მიმართულების, 2 სმ სიგრძის მქონე რაკლისებური ნაჭდევი, რომლის ზედაპირი დაფარულია სისხლის კოაგულებით. აღნიშნული დაზიანების უბნები არ არის დამუშავებული და თმოვანი საფარველის ქვეშ ისახება შემზარინი სისხლის კვალი.

შუბლის მიდამოში, მარცხენა მხარეს, წარბზედა რკალის პროექციაზე ფიქსირდება რამდენიმე ნაჭდევი. მათგან ყველაზე დიდი მრთულებდის ფორმისაა (ზომები: 3.0x1.5 სმ). ამ უბანში აშკარად ისახება რამდენიმე ორმართისაგან პარალელურად მდებარე წერტილი ნაჭდევი, რომლებსაც მსგავსი მიმართულება და ფორმა გააჩნიათ. აქვე აღინიშნება ფუფხით დაფარული რამდენიმე კერა.

მარჯვენა მხრის წინა და უკანა-ალატრალურ ზედაპირებზე აღინიშნება ფუფხით დაფარული ნაჭდევი. პირველის ზომაა 9 სმ, მეორესი - 6 სმ. პირველი მათგანი იწყება სამკუთხედის ფორმის დაზიანებული კანის უბნით, რომელიც ნაწილობრივ დელტისებურ მიდამოში მდებარეობს. აღნიშნულის გარდა ასევე აღინიშნება 4 სმ სიგრძის ნაჭდევი მხრის უკანა ზედაპირზე. იდაყვის მიდამოში (მარჯვნივ) აღინიშნება 7 სმ სიგრძის რაკლისებური ფორმის ნაჭდევი, რომელიც მხრის დისტალური ნაწილიდან გადადის წინა მხრის პროქსიმალურ მიდამოში, იდაყვის უკანა მიდამოს გადის.

ზურგზე აღინიშნება მრავლობითი დაზიანებები. ხერხემლის მალევის წვეტიანი მორჩების მარჯვნივ და მარცხნივ, ბეჭის ძვლის ქვედა კუთხეების შემოკრთვითი წარმოსახვითი ხაზიდან დაახლოებით 5 სმ-ით ზემოთ ფიქსირდება გარდღიარდობი

2
განთავსებული ნაჭდევის კომპლექსი, რომელთა ფორმა და ზომები წარმოდგენილია სქემატურად.



მარცხენა ბეჭის ძვლის ქვედა კუთხიდან დაახლოებით 3 სმ-ით ქვემოთ აღინიშნება ჯვარედინად განლაგებული ორი ნაჭდევი შესაბამისად 10 და 8 სმ სიგრძით.

მარცხენა თირკმლის საპროექციო არეში აღინიშნება მრავლობითი ექსკორიაციები და სისხლნაღვლები, რომლებიც ხიმიტირულადაა განლაგებული ორივე მხარეს. მარჯვენა მხარეს არსებული დაეცილობის უბანი უფრო მკვეთრია, რომლის ზედაპირზე ისახება მრავლობითი წერტილი ექსკორიაციები.

ლევან ლაბაური
ექიმი (ზოგადი ქირურგია)

საპარტიო მშენებელი
ზვიად განმათავისუფლებელის პარტია
ZVIAD LIBERATOR'S PARTY
OF THE GEORGIA
თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. №8, ტელ/ფაქსი: 92-36-55
TBILISI, 380005, 8, LEONIDZE STR. TEL/FAX: 92-36-55

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის განცხადება

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია გამოთქვამს პროტესტს სააკაშვილის ტირანული რეჟიმის მიერ 11 სექტემბერს მოშიმშილე პოლიტიკატიმარ ცოტნე გამსახურდიას მიმართ ულმობელი ფიზიკური ანგარიშსწორების გამო, რასაც ვაფასებთ ვიქტიმიზაციად (პატიმრის განსაკუთრებული სისასტიკით წამება).

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია მოვუწოდებთ სააკაშვილის დიქტატორულ-ტირანულ რეჟიმს, რომ ხელი აიღოს, დამოუკიდებელი საქართველოს ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილის ფიზიკური ლიკვიდაციის პარანოიულ განზრახვაზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში ვაფრთხილებთ, რომ თავს დაატყდებთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რისხვა და უმართავი პროცესები, რაც მათი გარდაუვალი დამხობით დასრულდება.

პარტიის თავმჯდომარე
ლილია ცოხია
2012 წლის 12 სექტემბერი.

პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის გასაგონად!



ვანო მერაბიშვილი, წინასაარჩევნოდ, მისი ლამის 20-წლიანი (მოქვეყნების დროიდან ნაციონალურამდე) მმართველობის შედეგად გალატაკებულ და დამძეულ ხალხს პრობლემების ნაბიჯ-ნაბიჯ და ცოტა-ცოტაობით მოგვარებას ჰპირდება და ამით უტიფრად მიაწინებს, რომ ღრმა მოხუცებულობამდე აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას თავის ჟრიალულ პრეზიდენტთან ერთად, რომელიც, ხალხის გაუბედურებელი ყოფით, ბედნიერებისა და სიხარულის ასევე საპარანოიდულ ზღვრამდე მისული. მათი საარჩევნო გზავნილიც მოსახლეობისადმი — „მეტი სარგებელი ხალხს“ — სწორედ მათ მიერ, ხალხისთვის, პინკა ლუკმის გამეტების ნების მაუნყებელი ყვირილია, ხოლო მესაყვირე სააკაშვილ-მერაბიშვილი კი, საკუთარი ქონების, კიდევ რამდენიმე მილიარდით გაზრდას გეგმავენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ როლანდ რეიგანს ეკუთვნის სიტყვები: „მთავრობა ვერ მოაგვარებს ჩვენს პრობლემას, პრობლემა თავად მთავრობაა!“

სამ ათეული წლის წინ თქმული ზემოთხსენებული სიტყვები ზუსტად ასახავს საქართველოს დღევანდელ რეალობას და ამასთანავე, არის ზუსტი პოლიტიკური დიაგნოზი.

საკაშვილ-მერაბიშვილის ხარბი და მტარვალ მთავრობა, ხელისუფლებიდან, არჩევნების გზით მანც უნდა წავიდეს.

აი, მხოლოდ ეს იქნება რეალური სარგებელი ხალხისთვის!

დეპუტატობა საქუთარი ბიზნესის ლობირებისთვის

„ქართული ოცნების“ ხაშურის მაჟორიტარობის კანდიდატი ვალერი გელაშვილი, რომელიც ორი მოწვევის დეპუტატი უკვე იყო, მაგრამ მისი დეპუტატობა საქართველოს ამომრჩევლებისთვის მხოლოდ მისი ცემის შედეგად გახდა ცნობილი და ორივე მოწვევის პარლამენტში მხოლოდ საკუთარ ბიზნესს ლობირებდა, ამჟამადაც ამ ქვეყნის ბიზნესისთვის მიიღტვის პარლამენტისკენ.




ბიძინა ივანიშვილს, როგორც ჩანს, მილიონერი გელაშვილის კანდიდატურით საქუთარი თანხების დაზოგვა სურს, მაგრამ სიძუნით ცნობილმა გელაშვილმა, არა მგონია თავის საკანდიდატო კამპანიისთვისაც კი საკუთარი ფულიდან რაიმე დახარჯოს, არამედ, იგი შეეცდება საარჩევნო ფონს ივანიშვილის იმიჯითა და მისი მილიარდობის ქარიზმით გავიდეს, ხოლო პარლამენტში კვლავ „მკვდარ დეპუტატად“ და საქუთარი ბიზნესის ვირემმაკა ლობად იქცეს. თუმცა, ჩვეული სიძუნე და ვირემმაკობა, ერთხელ უკვე, ლამის სიცოცხლის ფასად უქცია სააკაშვილმა.

როგორი რეაქცია ექნება ივანიშვილს მის მიერ გათრეული დეპუტატის ვირემმაკობაზე, მომავალი გვიჩვენებს!

ჰინ იბრაიმა ჩხუბელი იბრაიმიშვილი მიხნაბისათვის

საქართველოში რუსული იმპერიის მსახურთა ნალოლიავები თემა, 1992–1993 წლებში ჩეჩენთა ბრძოლა სეპარატისტთა შეიარაღებულ ფორმირებებში. ეს თემა მათთვის იმითაც იყო და არის ძვირფასი, რომ ისინი ცდილობდნენ და ცდილობენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციას, რადგან იგი ამ წლებში ჩეჩენთის რესპუბლიკა – იჩქერი-ში იმყოფებოდა. ამ თვალთმაქცობას ბოლო მოუღო აფსუა სეპარატისტების ცნობამ, რომელიც მათმა ინფორმაციის მანქანამ „აპსინიპრესმა“ გაავრცელა. 2008 წელს სოხუმში იმყოფებოდნენ რუსეთის ხელისუფლების მიერ ტანკებითა და ხიშტებით ქ. გროზნოში დამკვიდრებული რამზან კადიროვის რეჟიმის ფუნქციონერები, რომელთაც აფსუა სეპარატისტებისაგან მიიღეს ზუსტი სია იმ ჩეჩენებისა, ვინც 1992–1993 წლებში რუსეთის იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად საქართველოს წინააღმდეგ იარაღი აიღეს ხელში. ეს არის სულ 445 ჩეჩენი, მათგან დაიღუპა 75, დაიჭრა 147, სეპარატისტებისაგან გმირის წოდება მიიღო 13, „ლეონის ორდენი“ – 27, მედალი „გაბედულებისთვის“ – 3 პირმა. ამ სამსახურისთვის ეს ჩეჩენები რუსეთის ხელისუფლებისაგან დღეს პენსიასა და სხვა სოციალურ შეღავათებს ითხოვენ. აფსუა სეპარატისტებმა რამზან კადიროვი ამ ლაშქრობის მონაწილეთა სიით უზრუნველყვეს.



დენ აფხაზეთში ქართველთა და საქართველოს ერთგული სხვა ადამიანების წინააღმდეგ ტერორსა და სისხლიან ეთნოწმენდას.

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის თავდაცვის კომიტეტი ყაბარდოელი სულთან სოსნალიევის მეთაურობით, მხოლოდ უმცროს ხელქვეითს წარმოადგენდა და სწორედ ამ კომიტეტის რიგებში ირიცხებოდა ჩეჩენთის ეროვნული თავისუფლების იდეალის მოლაღატე 445 ჩეჩენი.

აფხაზეთში კი ედუარდ შევარდნაძის ანტიკონსტიტუციური და ანტიეროვნული რეჟიმი ლალატის პოლიტიკას ეწეოდა. 1992 წლის 3 სექტემბრისა, თუ 1993 წლის 27 ივლისის დოკუმენტები ამის თვალსაჩინო მტკიცებულებებია. აი, ამ ლალატით დაიმედებული აფსუა სეპარატისტები, 1993 წლის 12 სექტემბერს შეიკრიბნენ სამხედრო საბჭოზე და დათქვეს 16 სექტემბერს სოხუმზე გენერალური შეტევის მიტანა. ქ. სოხუმისა და მთელი აფხაზეთის ოკუპაციის ოპერაცია მოამზადა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა მიხეილ კოლესნიკოვმა. ამას არ მალავს აფსუა სეპარატისტთა გაზეთი „Республика Абхазия“ (№134(2302) 4–5. 12.2008 წ.).

ასე რომ, ედუარდ შევარდნაძის დეზინფორმაციის მანქანით გაავრცელებული სიცრუე მრავალათასიანი ჩეჩენთა ლაშქრის შესახებ, მხოლოდ ფსიქოლოგიური დივერსია იყო, რათა ანტიკონსტიტუციურ და ანტიეროვნულ რეჟიმს უზურპირებული ხელისუფლება შეენარჩუნებინა და საკუთარი დანაშაული სხვისთვის გადაებრალეზინა. რუსეთის იმპერიული სტრატეგიის მსახურება სამხრეთ კავკასიაში შამილ ბასაევისა (1992–1993 წ. წ.) და სულიმ იამადაევის (2008 წ.) მსგავსათვის არ იყო ბრძოლა ჩეჩენი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის, არამედ იყო პირდაპირი ღალატი ჩეჩენთის ეროვნული თვითგამორკვევისა და

თავისუფლების იდეალისა. შემთხვევითი არ იყო, რომ როგორც კი ისინი არასაჭიროდ მიიჩნიეს, რუსეთის იმპერიულმა სადამსჯელო საცეცებმა მათ კავკასიის მთებშიც და არაბეთის ქვიშებშიც მიაგნეს და გაანადგურეს.

საქართველოში, თუ ვინმე, მართლაც მრავალათასიანი კონტინგენტით შემოიჭრა, ეს იყვნენ ყუბანისა და დონის კაზაკთა ჯარები. ყუბანის კაზაკთა ჯარის ატამანი ევგენი ნაგაი, სრულიად დონის კაზაკთა ჯარის უზენაესი ატამანი ნიკოლაი კოზიჩინი, რუსეთისა და უცხოეთის კაზაკთა კავშირის უზენაესი ატამანი ვიქტორ რატიევი, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის იური სკოკოვის მეურვეობის ქვეშ, მართლაც მრავალათასიანი კაზაკთა ჯარით ანხორციელებ-

თუ ვინმე იბრძოდა ან დღეს აპირებს რუსული იმპერიალიზმის მიზნებისთვის ბრძოლას, უნდა იცოდეს, რომ ამით იგი უპირისპირდება თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალებს. მას მოუწევს იმეოროს რუსეთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს წარმოთქმული ბრიყული სიცრუე: „1991 წელს საქართველოს პრეზიდენტმა გამსახურდიამ მოწოდებით „საქართველო ქართველებისთვის“ – უბრძანა იერიშით აეღოთ სოხუმი და ცხინვალი“.

რუსეთის იმპერიული სტრატეგია სიცრუეზეა აგებული და მას ისტორიული პერსპექტივა არ გააჩნია, ვინც არ უნდა იბრძოლოს მისთვის.

დავით არაბიძე

რეკლამა

უმჯობესეთ ან უკეთეს მოწყობას და უფრო მიხედვით, ვინ მოეხერხება, ვინ - მოეხერხება!



რუსეთის პროპაგანდისტულმა ქართულმა გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“, რომელიც ამ საარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილისაგანაც უხვად ფინანსდება, ივანიშვილის გაეროვნულებისათვის მორიგ ვოლუნტარისტულ ხერხს მიმართა; ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას „მწუხარე რაინდებად“ ცნობილ ფოტოს მერაბი ამოარიდა და, მის ნაცვლად, ზვიადს გვერდით ბიძინა ივანიშვილი დაუყენა (იხ. „ასავალ-დასავალი“, 20-26 აგვისტო, N34, გვ.6, 2012). ფოტო განთავსებულია ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო საგანგებოდ შექმნილ ე.წ. „ეროვნულების“ დამფუძნებლისა და ლიდერის სანდრო ბრეგაძის ინტერვიუში და ფონადაც, ეროვნული მოძრაობის წევრების ნაცვლად, ამ ისტორიულ ფოტოს დადებული აქვს „ოცნების“ წარწერიანი თეთრმაისურიანი ნევრების კადრი.

ფოტოსა და ვიდეოს მონტაჟი დღეს საზოგადოდ გავრცელებულ პრაქტიკად იქცა, თუმცა, ამგვარ საჩოთირო საქმიანობას, ადრე მხოლოდ უშიშროება და სხვა ძალოვანი სტრუქტურები მიმართავდნენ. უურნალისტიკაში კი, ამგვარი პრაქტიკის დანერგვას, ნამდვილად ვერ მივესალმებით, რამეთუ, მსგავსი პრეცედენტი ეჭქვემ დააყენებს ნებისმიერი ფოტო თუ ვიდეო დოკუმენტური მასალის ნამდვილობას და ფასსა და ნდობას დაუკარგავს მას.

„ასავალ-დასავალის“ ამ ფოტო-მონტაჟზე, ჩვენს აღმფოთებას, აგრეთვე იწვევს ფოტოზე დადებული მკრეხელური ციტატაც სანდრო ბრეგაძის ინტერვიუდან ჯაბა ხუბუასთან, რომლის პათოსითაც, ბიძინა ივანიშვილი... ზვიად გამსახურდიას გზისა და იდეების განუხრელ გამგრძელებლად (!) წარმოგვიდგება.

აი, ამგვარი ფანტასმაგორული ილუზიით არის „გა-

მართლებული“, ზვიად გამსახურდიას გვერდით, მერაბ კოსტავას, ბიძინა ივანიშვილით ჩანაცვლება.

არადა, ბრეგაძის ამ ინტერვიუამდე, რუსეთის ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა, ლემშენიერაში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს თავს უფლება მისცა, დამოუკიდებელი ერთიანი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია არალეგიტიმური და კაპიტულანტი „პრეზიდენტების“ — შევარდნაძისა და სააკაშვილის მარაქში გაეყვანა და ზვიადის ღვანლი ფოკუსნიკობად შეეფასებინა. კერძოდ, ივანიშვილმა თქვა: „...ბოლო ოცი წელიწადი, რაც გახსოვთ სსრკ და იმაღლა და ამიტომაც დავედევართ ამ მოჯადოებულ წრეზე: ერთი გვატყუებს ერთი ფოკუსით (გულისხმობს ზვიადს -ლ.ც.), მეორე მოვიდა და მეორე უბედურებას გვახვევს და მესამე მოვიდა და საერთოდ კატასტროფა მოგვიტანა“. ნახეთ ვიდეო <http://www.youtube.com/>



watch?v=so-MhXs2Aus, მისი გამოსვლის ჩანაწერი 12 წთ-სა და 42-ე წამიდან.

ივანიშვილს, არც სვანებთან შეკრებაზე დაჰყინებია ზვიადი და მისეულ წარსულს იქაც ესროლა კენჭები: 'მოჭარბებულმა პატრიოტობამ და ემოციებმა დაგველუპაო'.

ხოლო, ზუგდიდურ შეხვედრებზე კი, გაისიგრძეგანა რა რეგონალური ფაქტორი, კრიტიკის ტონი შეარბილა, თუმცა შეფუთვითაც საკმაოდ მკაცრად

გააბიაბიურა, როგორც პოლიტიკოსი და მას ცარიელი ემოციებით მოსული უწოდა: „ზვიადი იყო ძალიან დიდი პატრიოტი კაცი, ძალიან დიდი პიროვნება, ძალიან განათლებული, ძალიან მაგარი ოჯახის შვილი, პრობლემა იყო ის რომ საზოგადოება იყო აფსოლიტურად მოუზნადებელი, ცარიელი ემოციებით მოვედით, არანაირი გამოცდილება მართვის არ გვქონია, ერთადერთი, რაც ქონდა — აცხონოს ღმერთმა — ზვიადსაც გამოუცდელი იყო ისიც მართვის“ — თქვა ივანიშვილმა ზუგდიდში, სოფ. ოდიში ბაჩუკი გოჩუას ოჯახში. იხ. ვიდეო <http://www.youtube.com/watch?v=Nm3viAF9Hc0&feature=g-crec-u>

არადა, ზვიადს და მის ეროვნულ ხელისუფლებას, პოსტსაბჭოური ხელისუფლებიდან (შევარდნაძე, სააკაშვილი), ერთადერთს ჰქონდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ყოვლისმომცველი პროგრამა, რის გაცნობასაც ნამდვილად საჭიროებს პოლიტიკანი ივანიშვილი, რისთვისაც ვურჩევთ მას ნაიკითხოს კრებული „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო. პოლიტიკური ორგანიზაციები“, გამომცემლობა „ზანი“, 2009. შემდგენელ-რედაქტორი — ეთერ მაგალობლიშვილი. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას პროგრამა კი, მისგან განსხვავებით, არ გახლდათ ამომრჩევლების მოსყიდვაზე ორიენტირებული და ხელისუფლებაშიც იგი მონამებორივი ბრძოლის ბიოგრაფიული კაპიტალით (და არა ფულადი კაპიტალით) მოვიდა. დისიდენტი ზვიად გამსახურდია კი, პოლიტიკაში 12 წლის ასაკიდან იყო ჩართული, ხოლო მართვის გამოცდილების ათვისება კი, გარეშე და შინაურმა მტრებმა, სწორედ რომ არ დააცალეს!

როგორი მოუზლუდავი უნდა იყო პირადი აზრების საჯაროდ გაცხადებასა და მოქმედებაშიც, რომ ზვიადისა და მერაბის სრული ანტიპოდი ივანიშვილი, ზვიადისეული საქართველოს აღმშენებლად წარმოადგინო! ხოლო, „ეროვნულების“ ნიშა პარლამენტში, ხუნტის თანამზრახველ ედმუნდი შალვა ხაჭაპურიძეს დასაკუთრებინო!

და კიდევ... ზვიადი და მერაბი აროდეს ოცნებობდნენ, რამეთუ, ვაჟს თქმისა არ იყოს: „საქმიან კაცს ოცნებისთვის სადა სცალიან, ან ოცნებას რა ხელი აქვს მასთან?!“ აკი, ბიძინამაც, მხოლოდ მილიარდების დაგროვების შემდგომ მოიცალა პოლიტიკური ოცნებისათვის. ზვიადი და მერაბი კი სანდლებით, გაცვეთილი სამოსითა და ფეხით მოარულნი ზეცაში და ერში აგროვებდნენ საუნჯეს.

ლილა ცომაია

გაბელსის მემკვიდრე სააკაშვილის „ნაციონალური“ ხროვის პროპაგანდისტული ტელევიზია



"პროპაგანდა უნდა იყოს რაც შეიძლება ბევრი, დღისითა და ღამით. ის არ უნდა წყდებოდეს, ვერავინ უნდა მოასწროს იმის გააზრება რას ეუბნებიან. ყველა გზავნილი პრიმიტიული უნდა იყოს, რათა ყველაზე ჩამორჩენილმაც უცებ აითვისოს და რაც უფრო ბევრი მოისმენს, მით უფრო იძულებული იქნება ყველა გაყვეს უმრავლესობას. პროპაგანდა უნდა იყოს მარტივი, ცხადი და ერთფეროვანი. ლოზუნგები უნდა იყოს ყოველი მხრიდან და მეორდებოდეს ყოველი პროპაგანდის ბოლოს. არანაირი ყოყმანი, არავითარი სხვადასხვა ვარიანტები და განსხვავებული აზრი, ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება, ამას მათ მაგივრად სხვები გააკეთებენ, მათ მხოლოდ ინფორმაციად უნდა მიიღონ თუ რა არის მათთვის კარგი, და დარწმუნდნენ რომ რაც ხდება არის გარდაუვალი. პროპაგანდა უნდა ხდებოდეს მხოლოდ გრძობებზე და არა გონებაზე, მართვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ემოციებზე. შოკი და ტყუილი — მთავარი პრინციპებია სრულყოფილი პროპაგანდისა. პატარა ტყუილს არავინ დაიჯერებს, საჭიროა შოკისმომგვრელი და გაუგონარი ტყუილი, ისეთი რომლის გააზრებაც ძნელია. ფაქტები უნდა იყოს არა შელამაზებული, არამედ გაუგონარი!"

იოზეფ გებელსი

როლის დაიწყო აფხაზეთის ომი

„აზქიშეჟუდი თაჟიდან უსქიშეჟუე“

1993 წლის 27 სექტემბერი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის შავი და უაღრესად ტრაგიკული ფურცელია, რომელიც ვერასოდეს ვერ დაიხურება, რადგანაც ამ დღეს დაეცა აფხაზეთი. შეწყდა საქართველოს იურისდიქციის გავრცელება ქვეყნის ამ ერთ – ერთ განუყოფელ ნაწილზე, რასაც უამრავი ადამიანის მშობლიური კუთხიდან განდევნა მოჰყვა და უამრავი ქართველისა და აფხაზის სიცოცხლე შეენირა.

ეს, ან უკვე ცნობილი ისტორიაა და გაკვეთილიც, რომლის არცოდნა, ან დავიწყება, მხოლოდ ზიანისა და ტრაგიკული მოვლენების პერმანენტულ განვითარებას იწვევს სახელმწიფოში.

ამიტომაც გადაწყვეტილი შეგვეხსენება საზოგადოებისთვის ის თუ რა ხდებოდა 1989 წლის 15–16 ივლისის აფხაზეთში, რადგანაც იმ დროს ცენტრისა და ადგილობრივი სახელისუფლებო – სეპარატისტული ძალების მიერ დაგეგმილი, ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ მოხერხდა, ჯერ მტრის ჩანაფიქრის ნეიტრალიზება, შემდეგ მდგომარეობის ნორმალიზაცია. ეს კი ეროვნული მოძრაობის (საქართველოს ხელისუფლება მაყურებლის როლში აღმოჩნდა) სალი, სახელმწიფოებრივი აზროვნების შედეგად იქნა მიღწეული. მისი იერად მოხდა ეროვნული ძალების ყურადღების კონცენტრირება კრემლის მზაკერული გეგმის ჩასაშლელად. მთავარი იყო იმ სისხლისმღვრელი პროცესიდან,

უკვე სტიქიურად ჩათრეული ქართველი მოსახლეობის განრიდება. სწორედ ამიტომ გადაეღობა მერაბ კოსტავა 16 ივლისს დასავლეთ საქართველოდან აფხაზეთში საომრად დაძრულ და ლალიძგის ნიღბთან მოზღვავეულ ხალხს და არ გამოატარა ხიდზე (იხ. გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №30) 17 ივლისს სოხუმში (აჩადარაში), ძმები ხიბების სახლში მოხდა ე. წ. ქურდული მენტალიტეტისა და აფხაზ მოსახლეობაში გავლენიან აფხაზ ავტორიტეტებთან მოლაპარაკება ომის შეწყვეტაზე (ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ს. ადამია, ნ. მგალობლიშვილი, მ. სიგუა). აღსანიშნავია, რომ პოლიტიკას დისტანცირებულ საზოგადოების ამ წარმომადგენლებს არ გაჭირვებიათ იმის გაგება, რომ კონფლიქტის მამუტაჟურ ომში გადაზრდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია იყო, აფხაზები კი ამისთვის განიერი მსხვერპლი.

გაზეთ „ბზიფის“ ბოლოდროინდელი აშკარა გააქტიურება მხოლოდ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას როდი ემსახურება, მთავარ მიზანს საგამოძიებო და სამართალდამცავ ორგანოებზე ზენოლა წარმოადგენს. ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ სსრკ სახალხო დეპუტატის, ტარას შამბას დეპუტატთა ყრილობაზე არ შემდგარი გამოსვლის ტექსტის „წერილები უმისამართოდ“ – ს პუბლიკაციის შემდეგ ჩვენ გაგზავნი კიდევ ერთი, აფხაზეთში მდგომარეობის გამწვავების მიზნით, გუდაუთის რ–ნის „აიდგილარას“ განყოფილების მიერ მიწერილი და გამოქვეყნებული „ღია წერილისა საქართველოს სსრ გენერალურ პროკურორს ე. რაზმაძეს“. სწორედ ამ პუბლიკაციებმა მაიძულა შემეხსენებია საზოგადოებისთვის მრავალი კარგად ცნობილი და ზოგი ნაკლებად ცნობილი ფაქტები აფხაზეთში მღელვარე ვითარებისა.

1990 წლის 23 იანვარს გაზეთმა „ბზიფმა“ (გუდაუთის რ–ნის საქართველოს კპ ორგანო) გამოაქვეყნა სსრკ სახალხო დეპუტატთა მე–2 ყრილობაზე ტარას შამბას მიერ მომზადებული, მაგრამ არგაულერებული გამოსვლის ტექსტი, რომელშიც შეგნებულად აქვს გაყალბებული 1989 წლის 15–16 ივლისს აფხაზეთში განვითარებული მოვლენები. ამ წერილით იგი

უტიფრად ცდილობს მოსახლეობის მოტყუებას და მათ შორის შუღლის გაღვივებას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პუბლიკაციებით საიმფორმაციო საშუალებები და არც თუ იშვიათად ცენტრალური პრესაც 1989 წლის 1 აპრილისა და 15–16 ივლისის ტრაგიკულ მოვლენებს, როგორც წესი წარმოაჩენენ აფხაზეთში განვითარებულ „ეთნოკომფლიქტებად“ ან „დაპირისპირებად ეროვნულ ნიადაგზე“, რაც რეალური ვითარების შეგნებულ გაუკუღმართებით აიხსნება მხოლოდ. ტ. შამბაც – კრემლის მაღალჩინოსანთა დავალებების უბადლო შემსრულებელი ცდილობს „დაგვარწმუნოს“, რომ თურმე „...в июле разрознился межнациональный конфликт в абхазииб когда вооруженные группы грузинских экстремистов учинили побоище... В результате погибли 18 и ранены несколько сот человек...“ როგორც ვხედავთ უტიფრობისა და სიცრუის არნახულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ანუ მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით „ატიკივებული თავიდან აუტიკივარზე“ უნდა გადაიტანოს დანაშაული, რომლის ჩამდენიცა და წამქეზებელიც თვითონვე არის. იგი არ ერიდება ტყუილი ჭეშმარიტებად მოგვარჩვენოს, ამისთვის, მხოლოდ უსუსური რიტორიკით კმაყოფილდება და ცდილობს დააჯეროს მკითხველი იმაში, რომ ქართველი „ექსტრემისტები“ თავს ესხმიან მცირერიცხოვან, დაუცველ, აფხაზებს, რადგანაც „ცხადია, ქართული ლობიზმი იმდენად ძლიერია, რომ ვერანაირი სიმართლე ვერ გაიკვალავს გზას... სტალინისა და ბერიას მეთოდებმა ისე გაიდგა ფესვები საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, რომ რეალურად დამკვიდრდა არაობიექტურობა, ტენდენციურობა და მდგო-

მარეობის ბოროტად გამოყენება...“ სხვა არც ერთი ფაქტი ან არგუმენტი არ მოჰყავს მისი „სიმართლის“ გასამტკიცებლად.

მხოლოდ გვემუქება, რომ ქართველთა აგრესიის მამტიკივებელი ფაქტები „უხვად მოგვეპოვება“ –ო. ამავე დროს ბოლო ათწლეულების მანძილზე აფხაზ სეპარატისტთა ანტიქართული გამოსტომები ყოველთვის უპასუხოდ რჩებოდა. ჩვეულებრივი გახდა გესლიანი, ანტიქართული რიტორიკა თუ ისტორიული ფაქტების გაყალბება, მტრულად განწყობილ სეპარატისტთა ნაწილის და მათი ჩრდილოელი დამქაშების მიერ გამოგონილი ბრალდებების საფუძველზე შეთხზული წერილები სისტემატურად იგზავნებოდა ქვეყნის უმაღლეს



ინსტიტუციებში ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნებით. განმკითხავი კი არსად ჩანდა, ტერორიზმის სამშობლოდან ნაქეზებულ სეპარატისტებში ბუნებრივად ჩამოყალიბდა ექსტრემისტული დაჯგუფებები დაუცველ ქართველთა წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ტ. შამბას ამიტომაც ვერ მოჰყავს ვერც ერთი ფაქტი ქართველთა ექსტრემისტული ქმედებისა, რადგანაც არასოდეს არ მომხდარა ქართველთა მხრიდან სეპარატისტთა წინააღმდეგ მზგავსი რამ. ფაქტები კი საწინააღმდეგოს მეტყველებენ.

1989 წლის 1 აპრილს ე. წ. ლიხნის წერილით აღმოუთებულმა ქართველებმა მშვიდობიანი, აფხაზებისადმი ერთგულებისა და სეპარატიზმის საწინააღმდეგო მი-

ტინგი ჩავატარეთ რუსეთ–საქართველოს საზღვართან – დაბა ლესელიძეში. მიტინგზე გუდაუთის რ–ნის პირველმა მდივანმა კ. ოზგანმა მუქარის შემცველი გაფრთხილებით მოგვმართა, ხოლო მიტინგიდან მომავალ ქართველთა ავტობუსებს, ჯერ გუდაუთის შემდეგ კი აფონის გზაზე ცეცხლსასროლი იარაღით, რკინის კეტებითა და ქვებით შეიარაღებული ექსტრემისტი სეპარატისტები თავს დაესხნენ მშვიდობიან მგზავრებს, რის შედეგად 6 ადამიანი საფანტით დაიჭრა, დანარჩენებმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები. გარდა ამისა 3 და 4 აპრილს ღამით სეპარატისტები თავს დაესხნენ მივლინებით ჩამოსულ მშენებლებს ბზიფის УПТК-ს შენობაში, რომლის კარები, ჯერ ცეცხლსასროლი იარაღიდან დაცხრილეს, შემდეგ შეანგრიეს და სასტიკად სცემეს სტუმრები – აწინააღმდეგებლები და ოქრუაშვილი;

23 აპრილს ქ. გაგრაში აფხაზმა სანგულამ სახალხოდ ჩამოხსნა და ფეხებით გათელა საქართველოს სახელმწიფო დროშა – მასზე მიბნეული შავი სამგლოვიარო ლენტით, გამოფენილი აჭარაში სტიქიური უბედურების მსხვერპლთა პატივის მისაგებად;

ამ ექსტრემისტული სამართალდარღვევების გარდა, სოხუმის ბოტანიკური ბაღის შენობაში იბეჭდებოდა და შემდეგ ვრცელდებოდა ქართველების სახელით პროვოკაციული, ერებს შორის შუღლის გამღვივებელი პროკლამაციები (ე. წ. ქართველი ახალგაზრდების ფიცია), აფხაზეთში ისედაც დაძაბული მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად გასამწვავებლად;

ანტიქართული მოძრაობის ერთ–ერთ კერად იქცა აფხაზეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, ნაცვლად ურთიერთობათა მოგვარებისა და ნორმალური სასწავლო პირობების შექმნისა, რექტორატმა აირჩია ქართველთა იგნორირებისა და დაშინების პოლიტიკა, რამაც უნივერსიტეტის ორ ნაწილად გახლეჩა და სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია. სხვა მიზეზი რომ არ არსებობდა, აფხაზმა ექსტრემისტებმა ისარგებლეს ფილიალის შექმნის ფაქტით და მრავალი კანონსაწინააღმდეგო, ანტიქართული პროვოკაცია მოაწყვეს:

—1989 წლის 27 მაისს 9 აპრილის მეგორილის განადგურების მუქარით, სეპარატისტებმა შეძლეს ოჩამჩირის პირველი ქართული საშუალო სკოლის ეზოდან, მოსწავლეების მიერ დამონტაჟებული 9 აპრილის მსხვერპლთა მეგორიალური დაფის, შენობაში ანუ ნაკლებად შესამჩნევ ადგილზე გადატანა.

—1989 წლის 12 ივლისს სეპარატისტებისთვის (სავარაუდოდ) გახდა ცნობილი, რომ გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ აპირებს გაზეთ „აფსნი ყაფში“ –ს

პუბლიკაციაზე – „პოზიცია“ საპასუხო კომენტარის გამოქვეყნებას, ამიტომ 400 აფხაზი ექსტრემისტი თავს დაესხა სტამბას, მწყობრიდან გამოიყვანა სტამბის მოწყობილობა. ამის შემდეგ სამი დღე არ გამოსულა ქართული გაზეთი, ხოლო 13 ივლისს, ღამით, მდგომარეობის უკიდურესი გამწვავების მიზნით იგივე ვანდალებმა სოხუმში დაარბიეს ქართველებისთვის წმინდათა წმინდა 9 აპრილის მეგორიალი.

– 14 ივლისს აფხაზმა ექსტრემისტებმა ალყაში მოაქციეს სოხუმის 1–ი საშუალო სკოლა, რომელშიც დროებით იყო განლაგებული თსუ–ის ფილიალი, 14 საათისთვის სკოლის შენობაში შეღწეულმა, რაიონებიდან ჩამოსულმა ფაჩულამ, კასლანძიამ, გინდიამ, ცუჟბამ და სხვებმა, სისხლისღვრის მუქარით, მიმღები კომისიის წევრებს აბიტურიენტთა საბუთების მიღების შეწყვეტა და მისაღები გამოცდების არ დაშვება მოსთხოვეს. 18 საათზე აფხაზეთის შსს–მ მიიღო ინფორმაცია სკოლაზე თავდასხმის მზადების შესახებ, ჩატარდა შსს–ს ხელმძღვანელ თანამშრომელთა თათბორი, სკოლის შენობის „დაცვის“ უზრუნველსაყოფად. მაგრამ 15 ივლისს დილით სკოლის შენობაში მყოფ თერთმეტივე კომისიის წევრს გაუთიშეს სატელეფონო კავშირი და შეუწყვიტეს წყლის მიწოდება, ორგანიზებულად მოხდა ე. წ. „ბოევიკების“ ჩამოყვანა ქ. ტყვარჩელიდან, გუდაუთისა და

ოჩამჩირის რაიონებიდან (როგორც 1 აპრილს). 12 საათისთვის სკოლის მიმდებარე ქუჩებზე და უშუალოდ სკოლის ტერიტორიაზე სეპარატისტთა რაოდენობამ ათ ათასს გადააჭარბა, შეიარაღებულ ბოევითა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა უიარაღო ქართველთა რაოდენობას, ხოლო მწერალთა კავშირში ჩატარებულ მიტინგზე ისევე გაუფერდა „ფერგანა.“

– 13 საათისთვის თსუ-ს ფილიალის თანამშრომლებისთვის და მიმღები კომისიის წევრებისთვის წყლისა და საკვების გადასაცემად მოსულ მილიციელებს თავს დაესხნენ და სასტიკად გაუსწორდნენ სკოლის ეზოში მყოფი ექსტრემისტები. აქვე სცემეს წესრიგის დასამყარებლად მოსული ქალაქის მილიციის უფროსი დ.რაფაევა. ვანდალთა ერთმა ნაწილმა მოახერხა სკოლის შენობაში შეღწევა და თავდასხმა კომისიის წევრებზე, არაადამიანური სისასტიკით სცემეს კომისიის წევრი აბესალომ მიქელაძე, ის ისე დაშავდა, რომ მისი გადარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. სკოლის შენობაში მყოფმა აბიტურიენტებმა და მათმა ახლობლებმა იქვე მყოფ უმონყოლოდ ნაცემ ადამიანებთან ერთად, მხოლოდ მაშინ დატოვეს შენობა, როდესაც ეს ვანდალები განადგურების მიზნით იტაცებდნენ თსუ-ს ფილიალის დოკუმენტაციას და არბევდნენ ფილიალისთვის გამოყოფილ ოთახებს. წინასწარ მომზადებული არმატურის ნაჭრებით, ლურსმნიანი ხელკეტებითა და ქვევებით დალენეს შსს-ს და სასწრაფო დახმარების მანქანები, მოსული დაჭრილების გადასაცემად და ნაცემთა დასახმარებლად.

ყოველივე ამით აღშფოთებულმა ქართველებმა 15 საათისთვის გადაინაცვლეს რუსთაველის პარკში (400-მდე ადამიანი) სადაც, შეიარაღებული სეპარატისტთა ბრბო თავს დაესხა მშვიდობიან ქართველებს და წინასწარ მომზადებული არმატურის ნაჭრებითა და ლურსმნიანი ხელკეტებით გაუსწორდნენ მათ, რის შედეგად მიმედ დაშავდა 40 უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის იყო ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვოვა ვეკუა, რომელსაც ბლავჯი საგნით, სასიკვდილო ჭრილობა მიაციენეს თავის არეში და მესამე დღეს ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ხოლო ჭავჭავაძისა და ლენინის ქუჩების გადაკვეთაზე ააფეთქეს ქართველთა დასახმარებლად მოსული მოქალაქის მანქანა, აქვე ჭავჭავაძის ქუჩაზე დანისა და ბლავჯი საგნის გამოყენებით მოკლეს ქართველი ს. ჯვარელია.

– ამავე დღეს, 300-მდე ექსტრემისტი ცეცხლსასროლი, ცივი და თვითნაკეთი იარაღით შეიარაღებული შეიჭრა მთავრობის სახლის შენობაში, აღსანიშნავია, რომ დარბეული იქნა მხოლოდ ქართველ თანამდებობის პირთა კაბინეტები, შენობიდან ჩამოაგდეს საქართველოს სახელმწიფო დროშა, მის ადგილზე აღმართეს დროშა წარწერით „CCCPA“. მთავრობის სახლში ექსტრემისტები 2 დღეს იმყოფებოდნენ.

– 15 ივლისს 22 საათიდან ცეცხლსასროლი იარაღიდან იცხრილებოდა სოხუმის 1-ი საავადმყოფოს შენობა, რადგანაც ქართველი დაჭრილების უმრავლესობა იქ იმყოფებოდა. ხოლო 22 საათის შემდეგ, სასწრაფო დახმარების მანქანებს ქართველი დაჭრილებით სავადმყოფოსკენ არ ატარებდნენ.

– რუსთაველის პარკიდან გადმონაცვლებული ქართველები, ვითარებიდან გამომდინარე, იმავე დღეს გამაგრდნენ სოხუმში „წითელი ხიდი“-სა და კინოთეატრ „აფსნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. დაახლოებით 22 საათზე, ქართველთა ამ „დისლოკაციის“ ადგილს მოადგა ავტობუსი 15 მგზავრით. მოთხოვნაზე შემონებულყოფილ მგზავრები იარაღის არსებობაზე, ავტობუსიდან ცეცხლით უპასუხეს, რის შედეგად დაიჭრა 6 ქართველი. ამას ცივი იარაღის გამოყენებით უპასუხეს ქართველებმა. ამ ინციდენტის დროს დაიღუპნენ აფხაზები ბ. და ტ. ლასურიები. როგორც გაირკვა ეს ბოევიკები ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კუტოლიდან ჩამოსულან.

– 16 ივლისს ჭოჭუას ქუჩაზე ა/მ „კამაზ“-ში მყოფმა გუდაუთელებმა და შსს-ს თანამშრომლებმა ცეცხლი გახსნეს რკინიგზის სადგურის ბაქანის მიმართულეებით, რასაც შეეწირა ქართველი რ. მღებრიშვილის სიცოცხლე. ამ შემთხვევაში ექსტრემისტთა თავდასხმის აღკვეთის დროს მოკლულ იქნა აფხაზი ბ. ჩქოტუა.

სოხუმში განვითარებული მოვლენები სწრაფად მოედო აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს. ყველა ცდილობდა იარაღის მოპოვებას ნებისმიერი საშუალებით. სეპარატისტებისთვის კი შეიარაღება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგანაც ამ საშინელ ების დამკვეთებიცა და ნამქებებლებიც იყვნენ, როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნები. ამიტომაც „გაიტაცეს“ სოხუმის, გუდაუთის და ოჩამჩირის სამხედრო ბაზების საწყობებიდან იარაღი. ამას მოჰყვა ჯერ გუდაუთის შემდეგ ოჩამჩირის რაიონებში შსს-ს რაიონულ განყოფილებებზე „თავდასხმები.“ გაუძარცველი არც ეშერის სპორტ. ბაზის სა-

ზოგადობა „დინამოს“ იარაღის საწყობი დარჩა. აქვე გავიხსენოთ მთელ აფხაზეთში გახმაურებული, ოჩამჩირეში სახელმწიფო ბანკზე „თავდასხმის“ ფაქტი, რომელშიც ინახებოდა 2000 გლუველულიანი თოფი. აქ ექსტრემისტებს სათავეში ედგა და „თავდასხმას“ ხელმძღვანელობდა, ოჩამჩირის პოკურორის გ. ტორჩუას ბრძანებით, ოჩამჩირის შ.ს. რაიონული განყოფილების არასაუწყებო დაცვის უფროსი დ. შლარბა, მანვე განახორციელა იარაღის „გატაცება“ მონადირეთა კავშირის მალაზიიდან, ყოველივე ამის შემდეგ დ. შლარბას მეთაურობით ხორციელდება ე.წ. „სოხორონა.“ ამ ე.წ. „სოხორონა“-ს შედეგად დაიღუპა 4 და დაიჭრა 100 ქართველი მოქალაქე (არც ერთი მკვლელობა არ გახსნილა).

აფხაზ ექსტრემისტთა სისხლიანი თავდასხმები ქართველებზე და ქართველთა საპასუხო ქმედებები გრძელდებოდა კიდევ რამოდენიმე დღე.

– 16 ივლისს გუდაუთის რ-ნის სოფ. ფსირცხაში იქნა მოკლული საკუთარი მანქანით შინ მიმავალი ქართველი გ. ლობჯანიძე.

– 17 ივლისს სოხუმის აეროპორტში, მილიციის თანამშრომლისთვის განუული წინააღმდეგობის დროს დაიღუპა აფხაზი ა. კოლონია.

– 18 ივლისს გუდაუთის რ-ნის დაბა „პრიმორსკო“-

ნივთიერება. ტ. შანბა არც იმ ფაქტს შეუწუხებია, რომ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების პარტიული და სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნებმა კატერებში მრავალგზის გადაიყვანეს ცივი, ცეცხლსასროლი და საბრძოლო, ავტომატური იარაღით შეიარაღებული აფხაზთა დიდი ჯგუფები.

აღსანიშნავია, რომ სეპარატისტები ქართველებზე თავდასხმის წინასწარ, კარგად მომზადებული გეგმით მოქმედებდნენ. ამას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ 16 ივლისის დილის 10 საათამდე 190 დაჭრილიდან 139 ეროვნებით ქართველი იყო და მხოლოდ 22 იყო აფხაზი, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღიდან დაიჭრა 49 ქართველი და 11 აფხაზი.

ზემოთმოყვანილი ფაქტების ანალიზი, მათი მიზეზები და თუ რა ვითარებაში იღუპებოდნენ აფხაზები, ერთნაირად გამოირიცხავს ქართველთა წინასწარ განზრახულობას. ბ. ჩხოტუა, ბ. და ტ. ლასურიები მოკლული იყვნენ, მათივე დანაშაულებრივი მოქმედების აღმკვეთი, საპასუხო ქმედების დროს, ხოლო ა. კობახია დაიღუპა, აფხაზთა მიერ სავადმყოფოზე მიტანილი იერიშის დროს. რაც შეეხება ა. კოლონიას სიკვდილს, იგი მილიციელმა მოკლა შემთხვევითი გასროლით მაშინ, როდესაც კოლონია ცდილობდა მისთვის ტაბელური იარაღის წართმევას. ამავე დროს ქართველები – ვე-



ში მთავარ გზაზე გამსწრები მანქანიდან გასროლილი ტყვიით იქნა მოკლული ქართველი ავტონისპექტორი ო. ჩოჩია.

– 21 ივლისს ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოტაფში აფხაზმა ვ. ინაფშამ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა სსრკ შსს-ს სამხედრო მოსამსახურეები ვ. ნოვიკოვი და ვ. აკოპოვი.

– სოხუმში ყუმბარის აფეთქებამ იმსხვერპლა მცირეწლოვანი ქართველი ბავშვები – 10 წლის გოგონა ლ. სართანია და 12 წლის ზ. სანაია.

სულ აფხაზ სეპარატისტთა მიერ, ქართველთა წინააღმდეგ ორგანიზებულ სისხლიან პროვოკაციას შეეწირა 18 ადამიანის სიცოცხლე, მათგან: 11 ქართველი, 5 აფხაზი, 1 რუსი, 1 სომეხი. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს ქართველები: რ. მღებრიშვილი, ბ. ჩხოტუა, ო. შენგელია, რ. ეხვაია, ნ. შამათავა ვ. ბასილაია, გ. ლობჯანიძე, რ. ჩოჩია.

ვერაგულად, ზურგიდან მიპარულმა პაღბამ კეფაში მუხის კეტილი სასიკვდილოდ დაჭრა ვოვა ვეკუა.

სოხუმში სატრანსპორტო მილიციის თანამშრომელთა მიერ, რკინიგზის სადგურის მიმართულეებით გახსნილი ცეცხლის აღკვეთის დროს ნატყვიარი ჭრილობის შედეგად დაიღუპა აფხაზი ბ. ჩხოტუა.

სოხუმში, სავადმყოფოზე ექსტრემისტთა იერიშის აღკვეთისას, საპასუხო გასროლის შედეგად დაიღუპა ა. კოლონია, ხოლო ბ. და ტ. ლასურიები დანით მიყენებული ჭრილობებისგან.

დაუჯერებელია, რომ ტ. შანბამ ამ ფაქტების შესახებ არაფერი არ იცოდეს და არც ის იცოდეს, რომ სამკურნალო დაწესებულებებს მიმართა 495 ადამიანი, მათგან 342 – ქართველმა, 135 – აფხაზმა, 11 – რუსმა და 1 – აზერბაიჯანელმა.

ტ. შანბამ იქნებ არც ის იცის, რომ 1989 წლის 16 ივლისს ქალაქ ტყვარჩელის შს განყოფილებაში ექსტრემისტებს დაურიგეს 206 სანადირო თოფი და 14 მცირე კალიბრის შაშხანა, იქვე, სიით გაიცა ასაფეთქებელი

კუა, ჯვარელია, მღებრიშვილი, შამათავა, შენგელია, ბასილაია, ეხვაია, ლობჯანიძე და ჩოჩია მოკლულები არიან მაშინ, როდესაც ისინი არავისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.

ასეთ ვითარებაში რა მიზანს ემსახურება დეპუტატ ტ. შანბას უტიფარი განცხადება იმისა, რომ თურმე „ქართველ ექსტრემისტთა შეიარაღებულმა ჯგუფებმა მოახდინეს თავდასხმა აფხაზებზე“?

მიზანიც ის არის, რომ ფაქტების მიჩქმალვით მოატყუოს არა მხოლოდ სახალხო დეპუტატთა მე 2-ე ყრილობა, არამედ მასთან ერთად ქვეყნის საზოგადოებაც, რათა შეინარჩუნონ თანამდებობები (დღესაც რომ უკავიათ) ამ ტრაგედიის მომწყობ, დანაშაუვ მაღალჩინოსნებს საკუთარი თავის ჩათვლით, დაუპირისპიროს სხვა ეროვნებები ქართველებს და წააქეზოს ექსტრემისტები უფრო თამამი მოქმედებებისკენ ქართველთა წინააღმდეგ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ სსრკ სახალხო დეპუტატმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა – ტ. შანბამ კარგად იცის სიმართლე აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისა და ისიც, ვინ რა როლი ითამაშა ამ სისხლიანი პროვოკაციის მოსაწყობად. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორს, სუსლოვის იდეოლოგიით ნასაზრდოებს – ტ. შანბას და მის რუპორს – ვაზეთ „ბზიფს“, მხოლოდ ერთი მიზანი ამოქმედებთ, თუნდაც დაუჯერებელი ტყუილით მოახდინონ ისეთი ზენოლა საზოგადოებაზე, რომ დააჯერონ საზოგადოება სამართლიანობის არ არსებობაში, ბრბოდ აქციონ, შუღლი ჩამოაგდონ ქართველთა და აფხაზთა შორის, საკუთარი ხალხის დამღუპველ გზაზე გადასარეკად.

ნუგზარ მგალობლიშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს დეპუტატი.
1990 წლის 23 მარტი

ლიტერატურული ბჰმერდი

მარხ ბალიშვილი



თუ დამიბრუნებთ...

დრო გადის და, წუთებიც კი, - გვაშორებენ ცხუმს... დამიბრუნეთ ოღონდ კერა, - ეშმას მივცემ სულს...

საფლავები მომალოცეთ, - ამოვიგლეჯ გულს... მხოლოდ თვალი გადავაგლო, მხოლოდ ფეხი დავაკარო, მხოლოდ მუხლი მოვუყარო, დამიჯერეთ, თავს მივანდობ, - სამუდამო რულს...

შორეული ისმის გმინვა, - გმინვა მოაქვს ქარს... თუ წინაპრის მსგავსად ისევ, - არ აისხამ ფარს... რაინდულად დაცემულთ წინ, - რით მოიხსნი ბრალს?... მაღალ უფალს სად ადიდებ, შესანდობარს სად აიღებ, ძვლების ჩაყრას სად აპირებ, ცხუმში ჩაგთვლის მოლაღატედ - არ გაგიღებს კარს...

საფლავები ნასაფლარად, - ველარ აგნებ კვალს... ცრემლებით რწყავ იმ დაწყვეტილ, - ეკალსა და ნარს... ჯიბრზე მაინც არ დაიწყებ, - მოთქმასა და ზარს... ის იქ რომ წევს, შენ მიტომ ხარ, ის რომ უკან არ იხევდა, ღვთისმშობელს რომ ადიდებდა. კვდებოდა და ლოცულობდა - "ღმერთი ჩვენთან არს!"...

ერთი ათზე მიდიოდა, - არ ზოგავდა თავს... ის იცავდა შენს მინა-წყალს, - დედასა და ქალს... გაისარჯე, თორემ როგორ, - გაუსწორებ თვალს როცა ზეცად შეეყრები, თუმცა მას რას შეეძრები, მაინც წულარ შეფერხდები. მაგრამ, როდის გადაიხდი, - ტანჯულ მიწის ვალს...

შვილის ბუხარი ჩამქრალა, - თარეშობს გერი... მან ანგრია და დაღუნა, - უცვალა ფერი... არავინ აღარ დაინდო, - ჯვარს აცვა ბერი... ვინაც წავართვა მამული, ვინც დაგიქვრივა ასული. მტრად გადაგკიდა ნათლული, შეუნდე... ოდით ასეთი, - გვექონია ბედი...

ეშმას ვაჩუქებ სულს, ყორნებს მივართმევ გულს, ჩავებარები სიკვდილს, თუ დამიბრუნებთ ცხუმს.

მე აფხაზეთის მწვავს სიყვარული...

ძაძებს ვერ ვიხდი დაგლეჯილო მამული ჩემო, რა ვქნა, სხვაგვარი გრძნობებით ვარ შენზე გაზრდილი, წარსულისა და დღევანდელის თავს განვიმს ტანჯვა, შენს ლაფაროში ვდგევარ ლოცვით ხელეგანგვილი. განა სისველემ, მე დარდებმა გამთოშეს ძლიერ, წვიმა სისხლის და ცრემლის წვიმა ყოფილა მწარე... გთხოვ, - გადმოხედე მონყალებით ნილხვედრს დედისა, ან კი უფალო! - წამიყვანე სოფლიდან მალე. შესაძლებლობა სულ ცოტაა, - ანუ არა მაქვს, მაგრამ სურვილმა გადაფაროს მგონი ზღვა შავი, ოცი წელია კორტნის გულს და - ვერ მოერიო, ვერც ვერასოდეს მოერევა წყეული სვავი. შეყვარებულთა სენი ერქვა ჭლექს ოდითთავან, ავადმყოფობას თუ შემორჩა ხიბლი აქამდე, ჭლექიანი ვარ, - აფხაზეთის მწვავს სიყვარული, მაგრამ შორიდან შევყურებდე, - ნეტავ სანამდე?!... გვერდი უნგრია მტერმა როგორც გაცემულ ქრისტეს, შემოეძარცვა საპატარძლო ლამაზი კაბა, გაჩანაგდა და გავერანდა ტურფა მამული... რა იქნებოდა უქართველოდ რჩენილი, აბა... უქართველებო აფხაზეთი ზღაპრად არ თქმულა, აფხაზის მოდგმა თავად არის, - ქართველი იგი, მიტომაც ჰქვია აფხაზეთი, - არა აფსუა, წინაპრად გვეყვანან თამარი და დავითი დიდი, თუ ხელს გაანძრევ გიშველიო, - ბრძანებს უფალი, ღმერთო შემიხდე, - ველარ ვნახე გამძრევი ხელის... მინა კი სისხლით... საფლავებით... - მოკვეთილ შვილებს, ჩამქრალ კერასთან, - ვით წყალობას, ცრემლებით ელის...

გაკვედრები, - ღვთისმშობელო დედავ...

ოცი წელი გავდა და... ოცჯერ... ოცჯერ მოკვდა აფხაზეთი ჩვენი... ზოგნი ამწვანებულან და, - ზოგნიც, ზეზეულად ჩამომხმარან ხენი... ზოგი ბრძოლის ველზე დარჩა გმირად, ზოგს საზარლად ჩაეხვია ცეცხლი... ზოგს როგორ და, - ზოგს ზურგიდან როგორ, მიუპარა ჩუმად ტყვია ცხელი... ... მაგრამ მარტის სულ სხვა იყო დილა... ტრიალებდა ჯოჯოხეთის ცელი... არნახული გაიღუნა კალო... ძმათა სისხლით დაიტბორა ველი... გვესეოდა ურდო მრავალ ჯურის, ერთ ქართველზე მოდიოდა ათი, და ზღაპრული ანცვიფრებდა მტერსაც, საოცარი ვაჟკაცობა მათი. კარიბჭესთან მეციხოვნედ იდგნენ, ჩვენი ბედი იქ წყდებოდა იმ დღეს, შეაკვდნენ და - არ დაუთმეს ცხუმში... რაინდო სული, - ცად ნათელში იყვეს... ... უთანასწორო იყო მტერთ შებმა... ცოდვა-სამართალს, უფალო ხედავ, დაგვიბრუნე საფლავები მათი, - გვედრები - ღვთისმშობელო დედავ... თუ შეგვიწყალებ მრავალგზის ტანჯულთ, და დაგვლოცავს შენი წმინდა ხელი, ყველას შეუნდობს გმირთა სულებიც, - და სისხლიანი გუმისთის ველი... აქვითინდება კოლხური „ნანა“, სულს აღარ შეძრავს გლოვის კივილი, ჭიშკრებს დააღებს ჩამქრალი კერა, „ჩონგურს“ აჰყვება მიწის ყივილი. ძაძებს გაიხდის ადგილის დედა, „კუჩხბედიერს“ იტყვის ქართველი, ჩამოკიდული ჯაჭვით კისერზე, ბილიკს გაყვება მწარე ნალველი. მუხლს მოიყრიან ზეცად უფლის წინ, დედა თამარი, და დავით დიდი, და ფეხქვეშ წმინდა მეფე-ქალისა, ცრემლებს გადმოყრის ბესლეთის ხიდი, როგორც ზღაპარში, - ბედნიერებით,

ამწვანდებიან გამხმარი ხენი, ღმერთო! - ჩემს კუთხეს, ზურმუხტ აფხაზეთს, - არ დაუმარცხო, არ დაუმარცხო, არ დაუმარცხო - ქართული გენი.

..... მოგონებების რიალში მრუმე, განანამები ღამე ვათიე... რა არ ვეცადე, მაინც ქალაღდზე, სამშობლოს დარდი, ვერ დავატიე...

ოქროყანა... მოყარე გივას...

ტრაგიკულად დაღუპულ გიგა (გიორგი) ცინცაძეს

კვლავ ოცდაათი ივლისი მწარე... კარს აკაკუნებს, ვით მაცნე შავი... მაინც რა უნდა, სამი წელია, გივას ცხოვრების ჩაძირა ნავი... სამი წელია გვიქცია სიზმრად, წამითაც კი არ ყოფილა შინა, ზღვაზე ნავიდა, შემზარავად კი... ოქროყანაში დაიღო ბინა... არა, ჩვენ მასთან რა გვაქვს სადაო, მზე მზეობს, ირგვლივ მუდამ დარია, მაგრამ როცა იქ ყვავის ზაფხული, ჩვენს გულში ნისლი და ზამთარია... თავისი ადევს მას მხრებზე ვალი, ბინადრებთან ბინად მინა მიაქვს, ოქროყანა, არ გემდურით, არა, ოქროყანა, მოყარე გივას... ჩვენ უძღუნნი, ისევ ვრჩებით შორით, რაც დრო გადის, - დარდი უფრო დარდობს, მაგრამ ცრემლი, - დედას რომ სდის ღვარად, გულქვა ყინულს ველარაფრით აღნობს... საყვედური ფუჭია და უაზრო, თავად ქრისტე, - ენამა და მოკვდა, მხოლოდ სამი დღე ესვენა - აღსდგა, და ამქვეყანად სასწაული მოხდა. მოკვდავებს კი სხვა გზა გვიდევს სავალი, რადგან ღმერთმა სწორედ ასე ინება, იქ ნათელში გაგამწესა ადრე, სამი წელი - აქ სანთლები ინთება, მე კარგად ვარო, შენ გითქვამს სიზმრად, იქ ბალნარია და მწვანე ველი, ეგ სილამაზე შენია, მაგრამ, აქ უშენობით ძნელია, ძნელი... ივლისო, მძულხარ და მეზიზღები... რისთვის მოგვარგე ეგ შავი ფერი... თავხედურად შემოაღე კარი, წინ წყეული გედგა ლუციფერი... ჯოჯოხეთია დღემდე, - რაც მოხდა, საუკუნეა ეს წელი სამი... სიცოცხლე მაინც გრძელდება, მაგრამ, წუთით არ შრება ცრემლი და ნამი... წალეკავს რაც კი იყო ლამაზი, სიხარული და დღენი სვიანი, შენ სხვა როლში ხარ, - ველარ გაიგებ, რას ნიშნავს, მიდის ადამიანი... მიდის... და რჩება სიცარიელე... წასულს დაეძებს მშვიერი ხედვა, და რომ ჰგონია, იპოვა კიდეც, „ეს აჩრდილია“, - დასცინის სევდა... დღე როგორც წუთი, წელი როგორც დღე, სწრაფად, დაჭრილი რაშივით მიჰქრის, ეს ცხოვრება კი, დამხრჩვავი ბოლმით, ჯახრიკითა და წვალბით მიდის. ვინ იცის, სანამ იქნება ასე, რას დაგვიდგენენ მსაჯული წლები, ჩვენ ცოდვილ სოფლად, - შენ კი ზეცაში, სერაფიმებთან მუდმივად რჩები... სხვა სამყარო არასოდეს გექნება, ზეციური ნათელისა გარდა, ცხოვრების სცენა დასრულდა ცრემლით... ჩამოეშვა... ჩამოეშვა ფარდა.

ლიტერატურული ბზმერდი

„დღეს, ამ ქვეყანაში, ფასდური სტელი მძვინვარებს...“



ღრმა და მრავალფეროვანია ელა გოჩიაშვილის პოეტურ სახეთა და მეტაფორათა სამყარო. იგი ცხოვრების გარდაუვალ საიდუმლოებებზე მოაზროვნე პოეტი, რომელიც ფლობს ძალას გარდაქმნას მკითხველი, გაუღვივოს ყველაზე მთავარზე და დიდზე ჩაფიქრების მოთხოვნილება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი იმ ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ვალს კაცობრიობა ვერასოდეს გადაიხდის, იმიტომ რომ ისინი ყველაზე მეტად უნარჩუნებენ სიცოცხლეს ადამიანთა სულს, რადგან კი არ გვესაუბრებიან სულიერი ძალმოსილების შესახებ, არამედ ქმნიან ამგვარ სულიერ ძალმოსილებას ჩვენი არსების ხეში ნაწილობრივად (უოლტერ პასტერი).

ამიტომაც ვწვევით მას ინტერვიუს ასაღებად.
- ქალბატონო ელა, ერთგან წერთ: „ცისკენ არის პოეზია, განა ციდან ციდან ლექსი კი არა და, ხეირანი, - ერთი სიტყვაც არ მოგეცემა. აქ უნდა მოიპოვო, სტრიქონ-სტრიქონ, აქ უნდა მოთხარო, დამტერეული ფრჩხილებით, მინაზე, მინიდან, - სააღდგომო ენდროს ფესვებივით.“ ესე იგი პოეტი მხოლოდ შთაგონების იმედად არ უნდა იყოს. თქვენთვის პოეზია თავდაუზოგავი შრომაა, რადგანაც სიტყვებთან მეტისმეტად ფაქიზი დამოკიდებულება გაქვთ. და მაინც როგორ პოულობთ ძალას „სტრიქონიდან სტრიქონამდე“?

- სტრიქონიდან სტრიქონამდე ძალების მოძიებაზე, არც ვფიქრობ და არც ვზრუნავ; თავისთავად ხდება. ნაწილობრივ ჩემი ხასიათის, ნაწილობრივ - გარემოში მიზნების გამოხატობა, ერთი შეხედვით და უცხო თვალისათვის, - მწირი და ერთფეროვანია ჩემი ყოველდღიურობა. ვინც მიცნობს, მხოლოდ ის არ გაიოცებს, ასე მცხოვრებ ადამიანს საიდან უნდა ეძლეოდეს შემოქმედებითი მუხტის ამძრავი განწყობილებები. უფლისაგან იშვიათი საჩუქარი მერგო: უკიდურესად გამძაფრებული მგრძობიარობა და ამოუწურავი, ქვა-ლორზე მოყვანილი საკუთარი სამყარო, რაც ბოლომდე მინაზღაურებს და აჭარბებს კიდევაც ჩემი ცხოვრების გარეგნულ სიმწირეს. სიხარულშიც მძაფრი ვარ და მწუხარებაშიც; არ მბეზრდება ფიქრი; არ მეღვევა წარსული. რაც საჭიროა, მეძლევა. თითქოს მართლ ვარ, მაგრამ სადაა მარტობა! - ერთხელ თვალის გახელაც მყოფნის, ერთხელ ფანჯრიდან გადახედვა, ერთხელ შინიდან გამოსვლა, - სამყარო წაიქით და ყვილ-ხივილით გამოიბის ჩემკენ... უცებ ვივსები. გამოგონება არაფრისა მჭირდება. ძალის მომცემიც ეს არის და ლექსის მიზეზიც. უსაყვარლესი ახლობლები, დიდი მეგობრები, პატარა მტრები, - ყველანი ძალას მაძლევენ. და კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი „დონორი“: უფლისა და სინდისის მორჩილებით მოგვრილი თავისუფლება, - ტკივილებში გამოხარული, ძვირად მოპოვებული... „მე ყოველთვის მზად ვარ სიკვდილისთვის.“

- ერთგან წერთ: „ყოველ ლექსს თავისი თავგადასავალი აქვს: დაბადებამდელი, - რომელიც ქმნის ლექსს და დაბადების შემდგომი, - რომელსაც უკვე თავად ლექსი ქმნის. როგორ ნაიკითხავენ ლექსს ხვალ, ან საერთოდ, ნაიკითხავენ თუ არა, ყველა შემთხვევაში ესეც მისი თავგადასავალი იქნება.“ როგორ გესახებათ პოეზიის როლი ჩვენს დროში და გაშფოთებთ თუ არა, რომ პოეზიას მკითხველი მოაკლდა?

- ასე მგონია: მხატვრული სიტყვა შემოქმედებით აზროვნების მწვერვალია, პოეზია კი - დაგვირგვინება. მასზე უკეთესი არაფერი შეუქმნია ადამიანს.

ბევრად უკეთ იქნებოდა კაცობრიობის საქმე, უფრო ფაქიზი სმენა რომ დაჰყოლოდა ამ ღვთაებრივი ჰარმონიის შესაგრძობად. მე არ ვგულისხმობ ლექსის, როგორც ლიტერატურული პროდუქციის გონებისმიერ გააზრებას, არამედ მიღებას რწმენასავით, არსებობას პოეზიის იდეალებით. დღესაც და ყველა დროშიც, პოეზიას შეეძლო დიდი როლის კარგად შესრულება, მაგრამ რეჟისორი ფრთხილია, - არ დაუშვებს, რომ „შიშის ზარს სცემდეს პოეზია უფრო მეტად, ვინემ ფერმკრთალი შეთქმულება“ ან სხვა ამგვარი... ფრთხილობს რეჟისორი და ამიტომაც, - პოეზიის რწმენად მიღები ხალხი, ლექსის დამწერი იქნება თუ ნამკითხველი, ყოველთვის უმცირესობაშია, ხოლო დღევანდელივით რთულ დროში საერთოდ დევნილებად იქცევიან ხოლმე. ქართული მწერლობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური ფაზა გადავილია, რადგან შედეგი უკვე დამდგარია. მანამდე კი ხმამალა და დაჟინებით გაისმოდა: „ნუ მოითხოვს მწერლობა სასათბურე პირობებს, როცა ხალხს ასე უჭირს!“ იცოდნენ, რასაც ამბობდნენ. ერი ხალხით დათანხმდა მოკავშირეობაზე და საიმიტომაც ხარვეზი დღემდე მიაღწევს თვალის „სისხლისმწოველი“ მწერლობის დახმარებას, საკუთარი ხელით ნააქცია საკუთარი სულიერების დედაბოძი. არადა, დიდი ჭკუა ხომ არ ჭირდებოდა ამ სივერაგეში გარკვევას, - სამიზნე მწერლობის ღირებულები ნაწილი იყო, თორემ, სათბურის ბინადარ ვეტერან მედროვეებს და მწერლობის „წუვორიშებს“ ვინ როდის ერჩის. ისინი არასოდეს ქმნიან პრობლემას. ვისაც „წინ ჩოტი უდევს და ნაბოძი ხალათი“, უყოყმანოდ დააღირებს თავს და ძოვა-ძოვით იქითა მინდორზე გადაინაცვლებს, საითაც მსუყედ ბიბინებს; ხან სიჩუმეს გაჰყიდის, ხან - ნახევარსიმართლეს. დუმილის გამართლებასაც მოძებნის, - მწერალი ვარ და დანარჩენი მე არ მეხებაო; ნახევარსიმართლის ტონალობასაც სწორად აიღებს, ნამეტანი საწყენად რომ არავის დაურჩეს. ... პოეზია კი სავალალო დღეშია. რეჟისორმა სახმო იოგები ამოართვა, ხმა აღარ ისმის. მონადინებული მკითხველი, ვინც ტუჩების მოძრაობით ხვედა პოეტის სათქმელს, მისსავე ხედვას იზიარებს და რეალურად ვერაფერი ცვლის. დღესაც, როგორც ადრე, და იქნებ უფრო მეტადაც, - „არა პოეზია, არამედ: ვინ - ვის.“ გაუგონარი გამძლეობა ჭირდება პოეტს, რომ მის ღირსებაზე გამუდმებული შეტევების მიუხედავად, ეს გრძობაც მტკიცედ შეინახოს, ყოფით პრობლემებსაც გაუძლოს და კიდევ წერის არაქატიც შერჩეს. უახრობაა პოეზიის როლზე ლაპარაკი ამ ქვეყანაში. ეს ის ქვეყანაა, სადაც სწორედაც რომ სათბურის მწერლებს უფხვიერებენ გარშემო და ორპირზეც ეფარებიან, რომ პატარა უფლისწულის მიზეზიანი ვარდევით, ჭირვეული ხველა არ ატეხონ; თორემ, გიორგი ლობჯანიძის რანგის პოეტსა და მთარგმნელს, ოცდამეერთე საუკუნის ადამიანისათვის, არცთუ შესაფერისი საცხოვრებელში, დაფაცხავებული ჭერიდან აწვიმს და ათოვს... დღეს უახრობაა პოეზიის როლზე ლაპარაკი; დღეს ამას არ დაუშვებენ, რადგან პოეზია სხვა განზომილებაა, არსებობის საკუთარ წესს ამკვიდრებს, - მართალს, თავისუფალს, ამაღლებულს. დღეს, ამ ქვეყანაში, ფასადური სტელი მძვინვარებს. ფასადურია ის კანტიკუნტი „მზრუნველობა“, რომლითაც უფრო მნიშვნელოვანის გაფუჭებას ნიღბავენ. ვის ჭირდება გარემონტებული შენობა პრობლემადქცეულ სკოლაში, როცა (დანარჩენზე რომ არაფერი ვთქვათ), წიგნისა და ლუკმის ფულისათვის გადაკარგული დედის გზას მიჩერებული ბავშვის ცხოვრებაში აღარ მთავრდება არჩევანი დედისა და პურის შორის. ვის ჭირდება გარემონტებული მუზეუმი უმომავლო ქვეყანაში! - მუზეუმი ხომ სხვა არაფერია, თუ არა მომავლისათვის შენახული წარსული, და მხოლოდ მომავლისაკენ მზირალ საზოგადოებაში ინარჩუნებს თავის ნამდვილ ფუნქციას, - ნედლი ფესვის დანიშნულებას; სხვა შემთხვევაში ის მხოლოდ დაუმარხავი მკვდარია, ერთხანს რომ გამოდგება რიტუალის ნაწილად და მერე თავისთავადვე გაცამტვერდება. ვის ჭირდება პოეტის მემორიალი, მისი მკითხველი ერი თუ გადაშენების გზაზე შეგიყენება! ვის ჭირდება თვითმკვლელი პოეტის თარიღებზე თვალთმაქცური ცრემლთანურვა, თუ ისევე ღია გაქვს მეოთხე სართულის ფანჯარა, ცოცხალი პოეტების თავზე მესხა და მერეს ატრიალებ და დაყურსული ელოდება, ვის როდის უმტყუნებს ნერვები. როლი - არანაირი... ერთგული და თავადაც როლის გარეშე დარჩენილი მკითხველის წინაშე ერთადერთი ევალება პოეზიას, - არსებობა არ შეწყვეტოს! დღეს,

ამ ქვეყანაში, ასეთ პირობებში, - ესეც არ არის ცოცხა.
- ერთგან წერთ: „უნდა თუ არ უნდა ავტორს, ყველა ლექსს თან დაჰყვება თავისი ფუნქცია... თუ ჩემი ლექსი კიდევ ერთხელ ჩააფიქრებს ვინმეს, რომ არსებობს რაღაც, - კეთილგანწყობაზე, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე აღმატებული, რაც ერთმანეთის წინაშე გვმართებს; თუ კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ერთმანეთის ბედზე ჩვენი პასუხისმგებლობის შესახებ; თუ წუთით მაინც გვაგრძობინებს თავს დამნაშავედ ჩვენი უშუალო ბრალის გარეშე მომხდარ ტრაგედიაში, ჩავთვლი, რომ ამ ლექსის დაწერა ღირდა.“ სხვისი ზღვრამდე მისული ტკივილის მიუხედავად დანაშაულადაც კი მიგაჩნიათ. რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის და მით უფრო პოეტისთვის თანაგრძობის ნიჭი?

- თანაგრძობის უნარს მოკლებული კარგი ადამიანი, უბრალოდ, წარმოუდგენელია. სხვისი ბედისადმი გულგრილად და ზერელედ განწყობილ ხალხს ზოგადად გააჩნია მგრძობიარობის, გულწრფელი განცდების დეფიციტი, პირად საკითხებშიც კი. ეგოისტებს საკუთარი თავიც არ უყვართ, მიუხედავად იმისა, რომ თანხანო ინტერესებისათვის მთელ ქვეყანას განირავენ. დიდხანს გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ პოეტი ყოველივე სულიერის და უსულოს თანამგრძობელია და პოეზია, - სამყაროს თანაგანცდის ღრმად ფესვგადემული ყვავილებიდან ამოტანილი ნექტარი. ახლა უკვე ვიცი: თანაგრძობის განსაკუთრებული ნიჭი პროფესიისა და საქმიანობისაგან დამოუკიდებლად ეძლევა ადამიანებს; მის გარეშე საქმეც კეთდება და ლექსებიც იწერება.

- თქვენ წერთ: „ადამიანებს ბოლომდე აუხელებელი გულგრილი გვიყვარს ერთმანეთი და ამ საყოველთაო სიბრძნეში ჩვენს არსებობას სხვა პერსპექტივა არ აქვს, გარდა ყრუ მარტობისა და ერთმანეთის სიხილოვებს ამო ბორიალისა.“ რატომ ხდება ასე და რამდენად გადასარჩენია ჩვენს დროში სიყვარული?

- „ყინვაგამძლე“ და „გვალვაგამძლე“ სიყვარული იშვიათებს შეუძლიათ; ეს ბედისწერაა და არა ვინმეს დამსახურება. დანარჩენ და უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ახლო სისხლისმიერი გრძობაა უპირობო, თორემ, სიყვარული მუდამ მოსავლელი და საპატრონოა; მითუმეტეს, ჩვენს რთულ დროში. დამრთგუნველი გარემო, უმწეობისა და დაუცველობის განცდა, სიბეზარე, სიღუბლე, დეპრესია, ნიჰილიზმი, - დიდი ვერაფერი ნიდაგია სიყვარულის სახარებლად. როცა ადამიანების მთელი სასიცოცხლო ენერჯია ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვას ხმარდება, სხვა დანარჩენი და მათ შორის სიყვარულიც, საფრთხეში ჩავარდნილი ხომალდიდან გადასაყრელ ზედმეტ ბარგად იქცევა ხოლმე. სათქმელადაც ძნელია და გასაგონადაც, მაგრამ ასე ყოფილა: სიყვარული პირობებს მოითხოვს. სიყვარული ისეთი ფუფუნებაა, გაურჯელად რომ არ გექლევას; სიყვარული ისეთი კომფორტია, სულიერი მოცალეობა რომ ჭირდება... რამდენადმე მაინც უნდა მიაღწა-მოალაგო ქვეყანა, - სახლივით; ავადმყოფისათვის წამალი დაიგულო, დამშეულისათვის, - ლუკმა; მომწვედელ ნადირს აღარ უნდა ჰგავდეს... სისხლისმიერი გრძობა ბევრის გამძლეობა, მაგრამ ადამიანი ხომ ოჯახის გარეთაც გრძელდება, თავისი ადამიანური ურთიერთობებით და მოვალეობებით. პასუხისმგებლობის შეგნება შესანიშნავია, მაგრამ ის ვერასოდეს ჩანაცვლებს სიყვარულს, რადგან ვერასოდეს აგანწვინებს ტვირთს იმ სიმსუბუქით და უანგარობით, რასაც მხოლოდ სიყვარული შეგაქმნის.

- და ბოლოს, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ყოფით გამოწვეული ტკივილი არაერთ ლექსში გამოგითქვამთ. რა ფენომენია თქვენთვის სამშობლო?

- სამშობლო სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა ერთობლიობაა, უცნაური მემკვიდრეობა: ვალიც და საჩუქარიც, მზამზარეულიც და მოსაპოვებელიც. ცხადიც და აღმოსაჩინიც. ეს იმდენად მრავლისმემკრები და მრავლისგამცემი გრძობაა, რომ მისი გულით გააზრება გარკვეულ სიბრძნეს უთანაბრდება და, ალბათ, ასაკიც ჭირდება. უსამშობლოა ან სამშობლოს უარყოფა ღვთაებრივი კანონზომიერების რღვევაა და იმაზე მეტად ვნებს და აზარალებს პიროვნებას, ვიდრე ეს, შესაძლოა, ზედპირულად ჩანდეს. სამშობლოსადმი ჩემი დამოკიდებულება ლექსებში გავამჟღავნე და უკეთესად ველარაფერს გეტყვით.

გამდლობთ საუბრისათვის.

თავარ ღალიანი



ნეტა რატომ, რისთვის?

კალამს ვუხმობ გლოვით, ვიშით, ნეტა რატომ, რისთვის? მთის მწვერვალზე არწივს ველი, ნეტა რატომ, რისთვის? დათვლილი მაქვს წუთის წამი, ნეტა რატომ, რისთვის? ქედმოხრილი ვდგევარ ღმერთთან, ნეტა რატომ, რისთვის? ფიქრი მომდის ამა სოფლის, ნეტა რატომ რისთვის? სიხარული დარდად ქმნილი ნეტა რატომ, რისთვის?

ევას დარი, ადამთ მსგავსი კალამს ვიხმობ ისევ ისე, როგორც წამი წუთსა, ნეტა რატომ, რისთვის? ვეთხოვები კიდევ ერთ წელს, ნეტა რატომ, რისთვის? ხარკად ქმნილი გალიმება ჩუმად ჩემთვის ხშირად მტანჯავს, ნეტა რატომ რისთვის? ოჰო, ღმერთო შენთან მდგომი არწივს ველი, ნეტა რატომ, რისთვის? ზამთრის სუსხი სოფლად მდგომი სულს მიბახებს, ნეტა რატომ, რისთვის? ტანჯვით მოველ, ტანჯვით ვძერწავ სიტყვას ხშირად, რატომ ნეტა, რისთვის? რა ვქნა, რა ვქნა სანთლად მსურს ყოფნა, რატომ ნეტა, რისთვის? ყოველი მხარე ამა სოფლის მზარავს მეტად, ნეტა რატომ, რისთვის? ვილაც მიხმობს, ვილაც მელის თითქოს კიდევ, ნეტა რატომ, რისთვის? შეშლილს ვგვევარ, სოფელს ვუმზერ გველ ნაკბენი მზერით, ნეტა რატომ, რისთვის? ეგ ცხოვრება ჭიამყარალა გულს მიხეთქავს, ნეტა რატომ, რისთვის? ოჰო, ღმერთო, შენთან მდგომი არწივს ველი ნეტა რატომ, რისთვის? რატომ, რატომ აღარ მღერის მთის ფერდობზე გვრიტი? ოჰო, ფიქრი მომდის, ფიქრი, კალამს ვუხმობ გლოვით, ვიშით და არ ვიცი რატომ, რისთვის? სული კენესად შემომდგარი სადღაც გარბის, ნეტა რატომ, რისთვის? ოჰო, ოჰო, არწივს ველი, არწივ მშობი იგვიანებს, ნეტა რატომ, რისთვის?.. ოჰო, ოჰო, კალამს ვუხმობ და კალამიც სადღაც გარბის, ნეტა რატომ, რისთვის? ვმღერი მგონი ახლა ჩემთვის და კალამიც დედათ მსგავსი მოდის ჩემთან სინარჩარით, და მე სული, ამა სოფლის, ვმღერი მარტოდ და სიმღერით ქალაღს სიტყვებს ვუნაწევანევ... და ოჰ, და ოჰ, არწივს ველი, არწივ მშობი იგვიანებს, ნეტა რატომ, ასე რისთვის?

ორგანი სახე, ორგანი თავაზი

თურქეთის რესპუბლიკა არა ერთხელ გამოსულა საქართველოს სუვერენიტეტი-სა და ტერიტორიული მთლიანობის მცნობი ოფიციალური განცხადებით, მაგრამ თურქეთის ოფიციალური განცხადებების გარდა, ხდება სრულიად კონკრეტული არაოფიციალური ქმედებები. 2012 წლის 11 ივნისს სეპარატისტების საინფორმაციო სააგენტომ „აფსინიურსმა“ გაავრცელა შემდეგი ცნობა: „ქ. სტამბულში 2012 წლის 4 ივნისს გამართულ გამოფენაზე „თურქეთი – მსოფლიოს სახელმწიფოები 2012“, აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაცია საპატიო სტუმარს წარმოადგენდა.

გამოფენა ორგანიზებული იყო თურქეთის ეკონომიკის სამინისტროსა და თურქეთის მენარმეთა და მრეწველთა კონფედერაციის TUSKON-ის მიერ.

გამოფენაში მონაწილეობდა მსოფლიოს 130 სახელმწიფოს 1500 მენარმე“.

დიდი წარმოდგენა არ უნდა თუ რამხელა რისხვას და კონკრეტულ საპასუხო მწვავე ქმედებებს მიმართავდა თურქეთი, თუკი საქართველოში ქურთთა ამდგავარი დელეგაცია ჩამოვიდოდა. მაგრამ რა არსაიდან ხმა, არსით ძახილი! დიდ თურქეთთან პატარა საქართველო იმითაც უნდა იყოს კმაყოფილი, რომ სეპარატისტების ამ დელეგაციას თურქეთის მთავრობაში ოფიციალური ვახშამი რომ არ გაუმართეს. ესეც საქართველოს პატივისცემა და დაფასებაა? ქართველებს კი, თუ ხმას ამოვიღებთ, დევნა გარანტირებული გვაქვს.

იღუპრდ შეპარლანის საჩუქარი თურქეთს

ანტიკონსტიტუციური გადატრიალების შედეგად ხელისუფლების უზურპატორმა ე. შევარდნაძემ 1992 წლის 30 ივლისს თურქეთის ლიდერ სულეიმან დემირელთან ერთად ხელი მოაწერა დამოუკიდებელი საქართველოს მხრიდან 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულების აღიარების შესახებ. ხელშეკრულება დაიდო 10 წლით, ვადის გასვლის შემდეგ ყოველ ჯერზე 5 წლიანი გაგრძელებით. 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსულ-თურქული ინტერვენციის შედეგი ამით გამყარდა, საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების ხარჯზე.

ღაზიოთ არაბიძე

ზნეობრივი ნორმების სვლიდა ქართულ კანონმდებლობაში და... ტელეკომპანია „კავკასიის“ ინსინერაციის მიზანმიმართული

მასმედია და განსაკუთრებით ტელევიზია, თავისი ზემოქმედებით, ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბების უძლიერეს ბერკეტს წარმოადგენს. დღის ეთერში დასაშვებად მიჩნეული მასალა საზოგადოებრივი მორალის ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამიტომ მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ დღის სატელევიზიო ეთერი საოჯახო ჩვენებისთვისაა განკუთვნილი და გადაცემები მცირეწლოვანი ბავშვებისთვისაც შესაფერისი უნდა იყოს. უხამსობისა და პორნოგრაფიის ტრანსლირება კი დამის ეთერშიც აკრძალულია. განვითარებულ ქვეყნებში ამ ნესების დარღვევა სოლიდურად ჯარიმდება.

ახლო ნათესავებთან ლესბოსური სექსი თუ ჯგუფური სექსი, პრეზერვატივის გამოყენების მოწოდებები და კაზინო-ტოტალურიზატორების გაუთავებელი რეკლამა — მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთ ქვეყანაში — საქართველოში ხდება ყოველ 15 წუთში ერთხელ. რა განაპირობებს იმ სავალალო ვითარებას, რომ საქართველოში, არც ტელეკომპანიები ერიდებიან დღის საათებში მცირეწლოვნებისთვის შეუფერებელი მასალის გადაცემას და არც მაყურებელთა აქტიური პროტესტი ისმის?

სულ რაღაც 20 წლის წინ ტრადიციული ქართული საზოგადოებისთვის ამ საკითხებს ტაბუ შექონდა დადებული და ტელეკორანზე მათ განხილვას არავინ მოაწყობდა. ასეთ თემებზე საუბარი ბავშვებისა და ქალების თანდასწრებით ქართული ოჯახების უმრავლესობაში დღესაც მიუღებლად ითვლება.

რა შეიცვალა? იქნებ ფიქრობთ, რომ საზღვარგარეთთან ახლო კონტაქტებმა ან დასავლური პროდუქციის შეუფერებელმა ნაკადმა შეცვალა ქართული მენტალიტეტი? თუ ფიქრობთ, რომ ევროპის ტრადიციულ ქვეყნებში, ან პურიტანულ ამერიკის შერთავულ შტატებში უკვე დაძლიეს საზოგადოებრივი მორალის ჩარჩოები და საქართველოც ამ გზას დაადგა?

საქართველოს ტელევიზიებმა უკვე ყველა ის ეთიკური ბარიერი გადალახეს, რომელთა დაცვაზე საზღვარგარეთ საზოგადოება გულმოდგინედ ზრუნავს. აშშ-ში ერთი ბილნი სიტყვაც კი საკმარისია, რომ მხატვრული ფილმი 17 წლამდე ახალგაზრდებისთვის შეუფერებლად ჩაითვალოს, რაც განაპირობებს დღის საათებში ამ ფილმის რეკლამის შეზღუდვას. ჩვენთან ბილნიტიყვავობა და გინება შეიძლება მთელი დღე გადაიკემბოდეს ახალი ამბების გამოშვებაშიც კი. საზღვარგარეთ ზოგიერთ არხზე პირდაპირ ტრანსლიაციაზე ხშირად ცენზურის გარკვეული ფორმაც კი არის დაწესებული და რეპორტაჟი 7 წამით გვიან გადაიცემა, რათა 18 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის შეუფერებელი მასალა არ მოხვდეს სატელევიზიო ეთერში. მითუმეტეს, რომ ჯარიმა ასეთი დარღვევისათვის, შეიძლება 325 ათას დოლარს აღწევდეს.

რამ განაპირობა ზნეობრივი ნორმების ასეთი სწრაფი ცვლილება საქართველოში? XX საუკუნის 90-იან წლებში სატელევიზიო ცენზურის შეწყვეტის შემდეგ, საზოგადოების მოთხოვნის მიუხედავად, რეგულირების ზემოთ აღ-

ნიშნული ფორმები 10 წლის განმავლობაში არ შემოუღიათ. მიზეზი, ალბათ, ტელეკომპანიებისთვის სასათბურე პირობების შექმნა იყო. ტელეკომპანიები ყოველგვარი კონტროლის გარეშე დღის საათებში აჩვენებდნენ ისეთ ფილმებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში დამის ეთერში გასაშვებდაც კი აკრძალულია. თვითონ ტელეკომპანიები არავითარ ინცი-ატივას არ იჩენდნენ, რათა მოეხდინათ საზოგადოებრივი მორალის ნორმების ან მცირეწლოვანთა დაცვა მავნე ზემოქმედებისგან. ამან, რა თქმა უნდა, თავისი დადი დაასვა მაყურებელთა გემოვნებას და ზნეობრივ კრიტერიუმებს. ის, რაც ადრე ტრადიციული მენტალიტეტისთვის მიუღებელი იყო, ახლა საჯაროდ გამოხატული პროტესტის გარეშე ჩაივლის და იშვიათად თუ ხდება მსჯელობის საგანი. ქართველი მაყურებელი უკვე ერიდება წინააღმდეგობის საჯაროდ გამოხატვას, შეგუებულია აზრს, რომ ტელევიზიის კომერციულ ინტერესებს საზოგადოებრივი ინტერესი უნდა შეეწიროს.

როდესაც 2001 წელს ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონი შეიმუშავეს, არ შეუქმნიათ მისი ამოქმედების მექანიზმი. ამიტომ რამდენიმე წელიწადი ტელეეთერში ყოველგვარი რეგულირების გარეშე გადაიციმდა ძალადობის, ბილნიტიყვავობის, სექსისა და ნარკოტიკების მოხმარების სცენები. ასევე საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე უნდა დამკვიდრებულიყო 2003 წლიდან ახალი რეგულირების მოდელი საქართველოში, რაც გულისხმობდა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ მაუნყებელთა დაჯარიმებას უხამსობისა და არასრულწლოვანებისთვის შეუფერებელი მასალების დღის საათებში ჩვენებისათვის. დარღვევის შემთხვევაში ტელეკომპანიას დეკლარაცია უნდა გაეკეთებინა ამ დარღვევის შესახებ ეთერის საუკეთესო დროს. ეს ზნეობრივი და ასაკობრივი სტანდარტების ჩამოყალიბების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნებოდა. რეგულირების ამ სქემამ მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა, მაგრამ საზოგადოებას, არც გაუგია ამის შესახებ, რადგან ტელეკომპანიები არ აწვდიდნენ მოქალაქეებს ინფორმაციას დარღვევათა განხილვის მიმდინარეობაზე.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე ტელეკომპანია დააჯარიმეს და ტელეკომპანიათა უმეტესობას მოუწია დღის ეთერის შესავსებად დამატებითი თანხების გაღება, 2005 წლიდან იწყება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა მაუნყებლებისთვის ნაკლებ შემზღუდველი პირობების შექმნის მიზნით. დაჯარიმებულმა ტელეკომპანიებმა კი დარღვევის შესახებ დეკლარაციის ნაცვლად სრულიად საპირისპირო ინფორმაციები გაუშვეს ეთერში. კანონმდებლობაში ცვლილებები, უპირველესად, არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის შეჩერებაში გამოხატა 2005 წელს სამაუნყებლო ქვეყნის კოდექსის მიღების საბაბით. შემდეგ გააუქმეს ცენტრი ახალგაზრდობის დეპარტამენტი, რომელიც მხატვრული ფილმების ასაკობრივ კლასიფიკაციას ახდენდა, ხოლო 2006 წელს არასრულწლოვანთა

მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონიდან ტელე- და კინოჩვენების მარეგულირებელი მთელი თავი ამოიღეს, რის შედეგადაც კიდევ სამი წელი სატელევიზიო მაუნყებლობა რეგულირების გარეშე მოქმედებდა. კინოთეატრებში ასაკობრივი შეზღუდვები დღესაც გაუქმებულია. რა თქმა უნდა, ასეთი რეგულირების რეჟიმი ხელს აძლევს კინოთეატრებსაც და ტელევიზიებსაც.

2004 წლიდან კომუნიკაციების კომისია და ტელეკომპანიები ათობით საჩივარს იღებდნენ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის, სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფისაგან მაუნყებლობის კანონის დარღვევათა ადვოკატის და მაუნყებელთა ქვეყნის კოდექსში 2001 წელს მიღებული რეგულირების სქემის აღდგენის მოთხოვნით. მიუხედავად ამისა, მაუნყებელთა ქვეყნის კოდექსი საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად იქნა მიღებული 2009 წელს.

ამდენად, ევროპული რეგულირების მოდელი საქართველოში პრაქტიკულად რამდენიმე თვეში გაუქმდა. 2006 წელს კი საქართველოში უკვე არა მხოლოდ ჯარიმები გააუქმეს კანონის დარღვევისათვის, არამედ ტელეკომპანიის გადაცემის გასაჩივრებაც კი აიკრძალა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, კომუნიკაციების კომისიასა და სასამართლოში (მაუნყებლობის კანონის 59-ე პრიმა მუხლი). „იმედში“ სპეციალური სამსახურების შექმრა ტელეკომპანიებისთვის აბსოლუტური თავისუფლების უზრუნველსაყოფად გამოიყენეს. ვინმეს კიდევ რომ არ გაეხებდა ტელევიზიების შეზღუდვა საქმიანობისთვის ხელის შემლა, მოქალაქეებს სასამართლოსთვის მიმართვა საერთოდ აუკრძალეს.

2009 წელს კომუნიკაციების კომისიამ სატელევიზიო გადაცემის გასაჩივრების იმიტაცია თვითონ ტელეკომპანიებში შექმნა: თქვენ შეგძლიათ ესა თუ ის გადაცემა მხოლოდ ტელეკომპანიაში გასაჩივროთ ორ ეტაპად: ტელეკომპანიაში ხდება საჩივრის შეტანა ეგრეთწოდებულ „ეთერეგულირების ორგანოში“, რომლის გადაწყვეტილება ისევე ტელეკომპანიასთან არსებულ სააპელაციო ორგანოში შეგიძლიათ გაასაჩივროთ. მაგრამ სააპელაციო საბჭო თქვენს საჩივარს, როგორც წესი, განუხილველად დატოვებს. მაუნყებლობის კანონის ამ „დემოკრატიულ“ მექანიზმს ავირგვიანებს უკვე ხსენებული მუხლი, რომლის მიხედვით სააპელაციო ორგანოს პასუხს ვერსად გასაჩივრებთ. საქართველოში ტელეკომპანიები უკვე სასამართლოს ყველა ინსტანციის — სააპელაციო და უზენაესი ინსტანციების — ფუნქციებს ითავსებენ (მაღე ტელეკომპანიები, ალბათ, პროკურატურის ფუნქციასაც შეითავსებენ, რისი ნიშნებიც უკვე იკვეთება „კავკასიის“ ინციდენტში).

გასაჩივრების ეს ანეგდოტური სქემა „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი პროდუქტია და თვითრეგულირების უცხოური მოდელის პროფანაციას წარმოადგენს. საზღვარგარეთ სხვადასხვა ტელეკომპანიები ერთიანდებიან და ქმნიან დარგობ-

რიც ერთობლივ თვითრეგულირების ორგანოს საერთო წესებისა და ქვეყნის კოდექსის დასაფუძვლად, საჩივრების განსახილველად. საქართველოში თვითრეგულირება კი ასე წარმოუდგენიათ — თვითონ ტელევიზიის თანამშრომლებმა ორგანიზაციის შიგნით უნდა შექმნან ახალი ორგანო საჩივრების განსახილველად. რეალურად ეს ნიშნავს, რომ ტელეკომპანიის შუქლია, რაც მოეხსიანება, ის გაუშვას ეთერში. მაგალითად, დღის საათებში განათავსოს გადაცემა ტრანსსექსუალური მეძავის საქმიანობის ინტიმურ დეტალებზე (ტელეკომპანია „იმედი“-ს „სიმართლის დრო“) და საბავშვო გადაცემებისთვის საუკეთესო დროს — მულტიფილმი მარინუანისა და მეძავების ფასებით („სამსონადეები“ — ტელეკომპანია „იმედი“). თქვენ შეგიძლიათ წეროთ საჩივრები, ტელეკომპანია მაინც გააგრძელებს თავის „განმანათლებლო საქმიანობას“, რადგან „იმედთან“ არსებული სააპელაციო ორგანო ამ გადაცემებს მცირეწლოვანებისთვის შესაფერისად მიიჩნევს და ყველა საჩივარს განუხილველად დატოვებს. კიდევ უფრო ანეგდოტურია, რომ მაუწყებელი თვითონვე ჩაატარებს წელიწადში ერთხელ თავისივე თვითრეგულირების სისტემის აუდიტს და კომუნიკაციების კომისიას მისწერს, სულ რამდენი საჩივარია შემოსული. მოკლედ, დემოკრატიისა და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების ეტალონი უკვე შექმნილია და ისა დაგვრჩენია, სხვა ქვეყნებს ვაგვუზიაროთ გამოცდილება!

როგორც ვხედავთ, თითქმის ორმა ათეულმა წელმა საქართველოში ისე ჩაიარა, რომ სატელევიზიო ეთერში პრაქტიკულად რეგულირება არ ხდებოდა და დროის განუწყვეტლად გადაიცემოდა ძალადობის, ბილნსტიყვაობის, სექსისა

იტანეს და ბოლოს გადაწყვეტილება მხოლოდ 2 წლის შემდეგ, 2009 წლის ნოემბერში იქნა გამოტანილი. საბოლოოდ, საქართველოს კონსტიტუციურმა სასამართლომ მას-მედიში მხოლოდ უხამსობასთან დაკავშირებული საჩივრის აკრძალვა მიიჩნია არაკონსტიტუციურად და პარლამენტის გადაწყვეტილება მხოლოდ ამ ნაწილში გააუქმა. რაც შეეხება ტელეკომპანიაზე ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენ პროგრამებთან დაკავშირებულ აკრძალვას, ის ისევ უნდა შენარჩუნდეს, რადგან კონსტიტუციური სასამართლოს წევრების აზრით, არც საქართველოს კონსტიტუცია და არც ევროპული კონვენცია გამოხატავს თავისუფლების შეზღუდვას არ აწესებს ზნეობის საკითხებთან დაკავშირებით. ქვევით ვნახავთ, რომ სტრასბურგის სასამართლოს ამ საკითხზე სრულიად მკაფიო პოზიცია აქვს და მიჩნია, რომ საზოგადოებრივი მორალის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლება უნდა შეიზღუდოს.

ჩვენი საკონსტიტუციო სასამართლო უფრო შორს მიდის და თვლის, რომ საქართველოში ზნეობის ნორმების დადგენაც სირთულეს წარმოადგენს: „ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფითი ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე იმდენად, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა — არა. ასეთი საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა გამყინავს ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე და შედეგად დაზარალებს მთლიანად საზოგადოებას“ (გადანწყვეტილება საქმეზე 421, 422, გვ.17; [http://www.constcourt](http://www.constcourt.ge/act-files/421.422.doc)).

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში. როდესაც ბავშვი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში პატარობიდანვე, ყოველ 15 წუთში ერთხელ ხედავს ნახატი ფილმის გმირს — პრეზერვატივ „SICO“-ს, რომელიც მოუწოდებს „მომირგე და იმოქმედე“, ეს, რა თქმა უნდა, ნაადრევი სექსუალური აქტიობისკენ ბიძგია, რადგან ბავშვისთვის ნახატი ფილმითა და მუსიკით მიწოდებული თემა ყველაზე კარგი რეკლამაა. ქვეყნის ხელისუფლების მიდგომა ასეთი თემებისადმი უკვე დიდი ხანია გამოკვეთილია: უკვე 10 წელია ყოველწლიურად ათასობით ლარი იხარჯება სწორედ ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებათა მხოლოდ სატელევიზიო რეკლამაზე, რომელიც საზღვარგარეთული ფონდების და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ არის მხარდაჭერილი. საზღვარგარეთული ფონდების დაფინანსების პრიორიტეტიც სწორედ ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, რუსეთში, პირიქით, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი მითითებას აძლევს აშშ დახმარების სააგენტოს (USAID)-ს, რომ არ მოახდინოს ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებათა გავრცელებისა და სექსუალურ უმცირესობათა მხარდაჭერა პროექტთა დაფინანსება, რადგან რუსეთში ასეთი პროგრამების ნახატი გარკვეული ჯგუფების პროტესტს იწვევს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიის საპატრიარქო და თვით უმნიშვნელო და უნეტარესი ილია II უკვე რამდენიმე წელია თხოვნით მიმართავენ ხელისუფლებას და ტელეკომპანიებს, საერთაშორისო სტანდარტებს დაუქვემდებარონ მდგომარეობა ქართულ ტელეკომპანიაზე. ერთ-ერთი ქადაგების დროს ილია II-მ ისიც აღნიშნა, რომ „ისეთი უზნეობა, რომელიც დღეს საქართველოში ინერგება — არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ხდება. ამაშიც პირველები ვართ!“ (საპატრიარქოს უწყებანი, #10, 14 მარტი, 2010, გვ.3)

ტელეკომპანიებმა 2010 წელს „სექსუალური რევილუციის“ ფორმებზე კიდევ რამდენიმე გარღვევა მოახდინეს და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდნენ: ტელეკომპანია „მზემ“ მოზარდებისათვის განკუთვნილ გადაცემაში „ჩვენი ექსპრესი“ 30 აპრილს პორნოგრაფიის (ავტორის ე. დიქსის) განსაზღვრებით) რჩეული ნაწყვეტები მოზარდებს შესთავაზა, როგორც ორიგინალური, აქტუალური და ჭემატიანი ქართველისთვის აუცილებლად წასაკითხი ნაწარმოები. ტელეკომპანია „იმედი“ კი მაყურებელს გადაცემა „სიმართლის დროს“ ანონსებში ახლო ნათესავებთან ლესბოსურ სექსსა და 15 წლის გოგოებთან ორგეების შესახებ შეკითხვებს სთავაზობდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოზარდებისათვის განკუთვნილ გადაცემაში „ჩვენი ექსპრესი“ ე. დიქსის ნიგნის წასაკითხად რეკომენდაციას გადაცემის არასრულწლოვანი ნაწყვეტები იძლეოდნენ, რაც ფაქტურად სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე პრიმა მუხლის დარღვევაა (არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიის რეკლამირებაში ან მუხლით გათვალისწინებული და დასჯადი ქმედება). აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაუწყებელი ტელევიზიის კოდექსის მიხედვით დღის საათებში უხამსი ან არასრულწლოვანისთვის შეუფერებელი ტექსტის გაშვება ბავშვებისთვის განკუთვნილ გადაცემაში ასევე კატეგორიულადაა აკრძალული.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის პროტესტის გააქტიურება სწორედ ამ ტელეგადაცემისა და ინტერნეტში განთავსებულ სიუჟეტში ამკარად მკრეხელური სათაურის ქოქი (ყველა მორწმუნე ადამიანისთვის უხამსი ანალოგია საიდუმლო სერობასთან) და პორნოგრაფიული შინაარსის ნიგნის რეკლამამ გამოიწვია. ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემაში „ბარიერი“ ისინი სწორედ ამ საკითხის აქცენტირებას აპირებდნენ. არადა მას-მედიში ხშირად შეხვედრით თვალსაზრისს, თითქმის მშობელთა კავშირის მთავარი მოთხოვნა გამოხატავს თავისუფლების შეზღუდვა და ნიგნის ნაკითხვის აკრძალვა იყო. თუ თვითონ ნიგნის ავტორი დიქსიც თვლის, რომ მოზარდებს მის ნიგნში დაამასხოვრდებოდა მხოლოდ პორნოგრაფია და სექსი, ამასთან „მწერალს“ თავის მკითხველად 15 წლის გოგონები წარმოუდგენია, რომლებიც მასთან სექსუალურ ურთიერთობას დათანხმდებიან მშობლების დაუკითხავად (7 ივნისის გადაცემა „სიმართლის დროს“), რა გასაკვირია, რომ საზოგადოებას პროტესტი გასწეროდა საბავშვო გადაცემაში მკრეხელური და პორნოგრაფიული ნაწარმოების ასეთ თავხედურ პროპაგანდაზე!

პირველი საჯარო კონფლიქტი და დაპირისპირება ახალგაზრდებს შორის დიქსის ნიგნის რეკლამირების გამო ილია ჭაჭაჭაძის უნივერსიტეტთან 4 მაისს შედგა. უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანია „მზემ“ საჩივარი მითხოვნით, არ მომხდარიყო ეთერში 30 აპრილის „ჩვენი ექსპრესის“ გადაცემის გამეორება და ინტერნეტის გვერდინა და მოხსნილიყო სიუჟეტი პორნოგრაფიულ ნიგნზე, 5 მაისს შევიდა. მაგრამ გადაცემა ისევ გაიმეორეს 6 მაისს. ინტერნეტში დღესაც ნახავთ ამ გადაცემას სხვა, მოზარდებისთვის შეუფერებელ სიუჟეტებთან ერთად („სატანისტი“, „ლგბტ ჟურნალი „მე“, „თბილისელი გოგო ირჩევს... გოგოს“, „პატრიარქი“): (იხილეთ <http://www.teentv.ge>, შენიშვნა: teentv მოზარდების ტელევიზიის ნიშნავს). 10 მაისს საჩივარი კომუნიკაციების კომისიაშიც შევიდა, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მომხდარა.

როგორც ვხედავთ, 7 მაისისთვის უკვე აშკარა იყო უნივერსიტეტისა (განათლების სამინისტროს) და ტელეკომპანიის უპასუხისმგებლო და კონფორმაციული მიდგომა მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შესაძლო შეურაცხყოფისა და საზოგადოებრივი მორალის



და ნარკოტიკის მოხმარების სცენები. მაუწყებელთა ქვეყნის კოდექსი 4 წლის მანძილზე განიხილებოდა, რადგან კომუნიკაციების კომისიას არ სურდა დანტერესებული საზოგადოების, მათ შორის, საპატრიარქოს, ელემენტარული მოთხოვნების გათვალისწინება. ტელეკომპანიები ამასთანავე ცდილობდნენ, მინიმალურად გაეშუქებინათ ეს თემა, მაყურებლებს არ სთავაზობდნენ ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ და არც ერთ ტელეკომპანიას არ მოუწყვია ამ კოდექსის განხილვა. ამ 2 ათეული წლის განმავლობაში პრაქტიკულად ყველა შესაძლებლობა, საჯაროდ გამართულიყო მაუწყებლობის სფეროში ზნეობრივი ნორმების დაცვაზე დისკუსია, საგულდაგულოდ იქნა აცილებული.

საბოლოოდ, 2009 წელს მიღებულმა მაუწყებელთა ქვეყნის კოდექსმა საქართველოს სატელევიზიო ეთერში პრაქტიკულად ახალი ზნეობრივი სტანდარტები დაამკვიდრა. ამ კოდექსის მიხედვით, შიშველ სხეულად ადამიანის სხეული მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ სასქესო ორგანოები ან/და ქალის მკერდი სექსუალურ კონტექსტშია. ეს „წინსვლა“ ასევე „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობის დამსახურებაა (2001 წლის კრიტერიუმებში შიშველი სხეულის განმარტება მოიცავდა იგივე სტანდარტებს, რაც მსოფლიოშია აღიარებული და არ იყო აუცილებელი სექსუალური კონტექსტი). ამ კოდექსით ასევე ნებადართულია დღის საათებში გვაგების, დაჭრილობის ნაშენების, თვითმკვლელობის, სიკვდილით დასჯისა და ძალადობის 15 წამის ხანგრძლივობის სცენების თავისუფლად ჩვენება (45-ე მუხლის პირველი პუნქტის ე) და ზ) ქვეპუნქტები, 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი). საზღვარგარეთული ფსიქოლოგიური კვლევა კი აჩვენებს, რომ ძალადობის ასეთმა მოზღვავებამ სხვისი ტანჯვისადმი მგრძობელობის დაქვეითება და ახალგაზრდობაში სისასტიკის ჩამოყალიბება შეიძლება გამოიწვიოს.

ანტიკონსტიტუციური ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში — სასამართლოში მიმართვის აკრძალვა — არ გააპროტესტა, არც სახალხო დამცველის აპარატმა და არც ადამიანის უფლებათა დამცველმა რომელიმე სხვა ორგანიზაციამ, რომლებიც ამ სფეროში, თავის დროზე, უხვი საგრანტო დაფინანსების ასათვისებლად შეიქმნა. მეტიც, საქართველოში სასამართლოში მიმართვის ანტიკონსტიტუციურ აკრძალვას სახელისუფლო პრეს-ცენტრი, საზღვარგარეთ, რეკლამას უკეთებდა, როგორც ევროპაში მაუწყებლობისთვის ყველაზე დემოკრატიული გარემოს შექმნის მაგალითს.

ანტიკონსტიტუციური აკრძალვა მხოლოდ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა გააპროტესტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კანონი ცვლილების მიღებიდან რამდენიმე თვეში. სარჩელის განხილვა 2007 წლის 4 ივნისს უნდა დაწყებულიყო და 10 თვეში დამთავრებულიყო, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში გადა-

გე/act-files/421.422.doc). სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ საზოგადოება ზიანდება სასამართლოში ჩივილის აკრძალვით, რადგან მაუწყებელთა კომერციული ინტერესების გამო უგულვებელყოფილია საზოგადოებრივი მორალი. რეალურად ეს ნიშნავს, რომ საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს იურისტებს „თავისუფლების ინსტიტუტის“ შიშით უკვე უძნელდებათ გაარჩიონ, რა რეკომენდაციებს ადგენს სტრასბურგის სასამართლო თუ ევროსაბჭო. რაც მთავარია, იმის გარკვევაც კი აღარ შეუძლიათ, თუ რა ითვლება უზნეობად ჩვენს საზოგადოებაში. ეტყობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უკვე განთავისუფლდა საზოგადოებრივი მორალის შემზღვევლი არტახებისაგან, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი სასამართლოში ზნეობრივ სტანდარტებზე მსჯელობა ისევ დასაშვებია, რადგან ცალკეული შტატისთვის შეიძლება განსხვავებული ზნეობრივი ნორმა დადგინდეს. ყოველ შემთხვევაში, იქ ჯერ-ჯერობით თავში არავის მოსდის, სასამართლოში მიმართვის ან რაიმე საკითხზე მსჯელობის აკრძალვა დაანესოს. საზღვარგარეთ სატელევიზიო ეთერში საზოგადოებრივი მორალის დარღვევასთან დაკავშირებული ყველა საჩივარი დეტალური და საჯარო განხილვის საგანი ხდება და ხშირ შემთხვევაში სწორედ სასამართლოში გრძელდება პროცესები მაუწყებლობისას ზნეობის ნორმების დარღვევაზე, რაც დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში განაპირობებს ზნეობრივი კრიტერიუმების მუდმივ დაზუსტებას, განმარტებასა და განახლებას.

როგორც ვხედავთ, სასამართლოში მიმართვის აკრძალვამ და საზოგადოებრივი ეთიკის ნორმებზე სასამართლოში მსჯელობის დაუშვებლად მიჩნევამ, ფაქტურად მოშალა ზნეობრივი ნორმების განახლების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. ამ ვითარებაში, როდესაც სატელევიზიო ეთერშიც დალიკირებულია ზნეობის თემებზე დისკუსია, სულ უფრო ადვილი ხდება ახალი ზნეობრივი სტანდარტების შთავონება ახალგაზრდებისთვის.

ასეთ სიტუაციაში ჩვენი ტელევიზიები უკვე წინააღმდეგობის გარეშე ტრადიციულ ამკვიდრებენ სექსის „კულტურის“ პროპაგანდას პრეზერვატივების, ინტიმური ტელეფონებისა და პორნოგრაფიების დანიშნულების განხილვით მოზარდებისთვის განკუთვნილ გადაცემებში (საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემები 2007-2009 წლებში „კედელი“ და „მოკლე ჩართვა“), რაც წარმოუდგენელია

გაგრძელება გვ. 14

დასაწყისი გვ. 12-14

ნორმების უგულვებელყოფის მიმართ. ფაქტიურად, მათ მოქმედებაში საზოგადოება ხელისუფლების ნებას ხედავდა, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა დაპირისპირებას.

საგულისხმოა, რომ 7 მაისს, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრებმა, იგრძნეს რა კონფლიქტის სიმწვავე და მოსალოდნელი პროვოკაციის დიდი ალბათობა, საპროტესტო აქცია ექსცესების აცილების მიზნით, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიიდან განათლების სამინისტროსთან გადაიტანეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის სპიკერმა ლევან ჩაჩუამ „კავკასიის“ ინციდენტამდე ორი დღით ადრე რადიო „ობიექტივის“ ეთერში ისაუბრა ტელევიზიითა და ინტერნეტით გადაცემული პორნოგრაფიული ნიგნის რეკლამაზე. ამ ინტერვიუს ვიდეორჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია საიტზე <http://www.obiektivi.net/> (იხილეთ 5 მაისის ვიდეო) და ამავე რადიოს გაზეთში. ლ.ჩაჩუა აპირებდა იგივე თემაზე ისაუბრა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერშიც, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან გადაცემის წამყვანმა სიტყვაჯვკ კი არ მისცა და მოგვიანებით ამ გადაცემისას ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის გამო დააპატიმრეს. ისმის კითხვა — თუ ლევან ჩაჩუა ერთსაათიან ინტერვიუს აძლევს ერთ რადიოს, რატომ უნდა ნდობოდა მას „კავკასიის“ ჟურნალისტების საქმიანობისთვის ხელის შეშლა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში დეისადის ნიგნის პრეზენტაციის დამცველებმა გადაცემის შუაშივე დემონსტრაციულად დატოვეს სტუდია? ტელეკომპანიაზე ჩანდა, რომ პირად ლ.ჩაჩუას მხოლოდ რამდენიმე რეპლიკის გამოთქმის საშუალება ჰქონდა, მაგრამ მას ესეც კი არ გაუპროტესტებია, არც ერთი ჟურნალისტისა თუ ოპერატორისთვის ხელი არ შეუშლია და სტუდია მხოლოდ მაშინ დატოვა, როდესაც მასთან ერთად მიწვეული რამდენიმე სტუმარი სცემეს და გადაცემის ჩაშლის ბრალდებით დააკავეს. ვიდეორჩანაწერებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ სტუდიის გარეთ დაწყებულ კონფლიქტში პოლიციის თანამშრომლები არ ერევიან, ისინი არც სტუდიის დაცვას ცდილობენ უცხო პირთაგან. გადაცემაში მიწვეული სტუმრები კი ფაქტიურად სტუდიის გარეთ პროვოცირებული კონფლიქტის მსხვერპლი აღმოჩნდნენ, რომელიც უცხო პირებმა წამოიწყეს.

საყურადღებოა თვითონ ტელეკომპანია „კავკასიის“ მიდგომა მცირეწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის პრობლემასა და სამაუწყებლო კოდექსის განხილვის მიმდინარეობასთან. 4 წლის განმავლობაში „კავკასია“, ისევე როგორც სხვა ტელეკომპანიები საქართველოში, ცდილობდა მინიმალურად გაემუქებინა ეს საკითხი. „კავკასიის“ დირექტორი აცხადებდა ტელეეთერში, რომ, ფსიქოლოგთა უმეტესობის აზრით, ძალადობა ეკრანზე არ ახდენს მავნე ზეგავლენას, საზღვარგარეთ ჩატარებული კვლევა კი სრულიად საპირისპირო შედეგს აჩვენებს. საპატრიარქო და უნივერსიტეტი სინოდმა ბოლო წლების განმავლობაში, მათ შორის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის განხილვის დროსაც, არაერთხელ მიმართა ხელისუფლებას, გაეთვალისწინებინათ საზღვარგარეთული გამოცდილება სამაუწყებლო სფეროში. ეს მიმართვები, პრაქტიკულად, გაუთვალისწინებელი დარჩა. საპატრიარქოს ბოლოდროინდელი ინიციატივა, — რომ დაიხვეწოს საქართველოს კანონმდებლობა რელიგიური გრძობების დაცვასთან დაკავშირებით, — სწორედ ზემოთაღნიშნული ვითარებით იყო განპირობებული.

„კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის წინმსწრები მოვლენების განხილვა ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოს პრევენციული სამართლის კონტექსტში საკმაოდ კარგად მეტყველებს ქართული კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო სტრასბურგში, რომლის გადაწყვეტილებები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული საქართველოს სასამართლოში, სპეციალურად და ხაზგასმით მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი მორალის და რელიგიური გრძობების დაცვა შეურაცხყოფისგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესია, რომლის გამოც უნდა შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. სტრასბურგის სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტი, — კერძოდ, ბრტანეთის ხელისუფლების მიერ ნიგნის Little Red School Book აკრძალვა (Handyside v. United Kingdom, 1976), ნამუშევრების კონფისკაცია და ხელოვნის დაჯარიმება უხამსი პუბლიკაციებისათვის (Müller v Switzerland, 1988), ფისტრიის ხელისუფლების მიერ კერძო კინოთეატრში ფილმის ჩვენების აკრძალვა და კონფისკაცია იმ მიზეზით, რომ ის კათოლიკეთათვის შეურაცხყოფელი შეიძლება ყოფილიყო და რელიგიური ომის პროვოცირება მოეხდინა ინსტრუქციის (OttoPreminger Institute v Austria, 1994), ინგლისში ფილმისთვის დემონსტრაციის უფლების აკრძალვა, რადგან ქრისტიანებს ის შეიძლება მკრეხელობად ჩაეთვალოს (Wingrove v The United Kingdom, 1996) — ადასტურებს, რომ ევროპის სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საზოგადოებაში დაპირისპირების აცილების მიზნით, მორალისა და ნსრთვის დასაცავად ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

ილიას საუნივერსიტეტო ნიგნის მაღაზიაში დეისადის ნიგნის პრეზენტაცია 15 აპრილს უკვე ქმნიდა იმ სიტუაციას, როდესაც საზოგადოების ნაწილს შეეძლო გაეპროტესტებინა სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებაში რელიგიური გრძობების შეურაცხყოფელი და მორალური სტანდარტებისადმი შეუფერებელი ნიგნის წარდგენა. როგორც ვნახეთ, ევროპულ ქვეყნებში ხელისუფლება საზოგადო-

ებაში დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით ახდენს მსგავსი პროდუქციის კონფისკაციას. ჩვენს შემთხვევაშიც ხელისუფლებას (განათლების სამინისტროს) ან უნივერსიტეტის რექტორატს შეეძლოთ განემუხტათ სიტუაცია უნივერსიტეტში ნიგნის მხარდამჭერი აქციისადმი უარყოფითი ან ნეიტრალური პოზიციის გამოხატვით. მაგრამ მათ ეს პრეზენტაცია გამოხატვის თავისუფლებასთან გააიგივეს და შემდეგ ნიგნის აქტიური მხარდამჭერის და მოწინააღმდეგეებთან კონფრონტაციის გზა არჩიეს, რაც „კავკასიის“ გადაცემა „ბარიერშიც“ გამოჩნდა. მაგალითად, მედია-ექსპერტ ზ.ქორიძეს მიაჩნია, რომ ჭავჭავაძის უნივერსიტეტის რექტორატის ასეთი მოქმედების მიზანი შეიძლება ქართული საზოგადოების პროვოცირება ყოფილიყო (<http://www.resonancedaily.com/index.php?id=rub=2&id=artc=1982>).

საზოგადოებაში დაპირისპირება გამოიწვია 15 აპრილის პრეზენტაციის შემდეგ ნიგნის შესახებ სახობტო სიუჟეტის განთავსებამ INTERNEWS-ის მიერ მოზარდებისათვის განკუთვნილ საიტზე ინტერნეტში და 30 აპრილს ტელეკომპანია „მზის“ მოზარდებისათვის განკუთვნილ გადაცემაში მცირეწლოვნებისთვის ადვილად მისაწვდომ დროს — 19 საათსა და 30 წუთზე. ის, რომ სააგენტო INTERNEWS დღესაც განათავსებს სიუჟეტს დეისადის ნიგნის შესახებ ინტერნეტში, კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ საზოგადოების გარკვეული ნრეები ისევ პროვოცირების პოლიტიკას აგრძელებენ ნაცვლად იმისა, რომ ესაა მაინც ალკვეთის დაპირისპირების წყარო. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში შესაბამისი კანონისა და სამართლიანი სასამართლოს არსებობა აუცილებელია საზოგადოებაში რელიგიური შეურაცხყოფის აღკვეთისა და დაპირისპირების აცილების მიზნით.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ თუ დასავლეთში მაუწყებელთა კომერციულ ინტერესებთან დაპირისპირებაში საზოგადოებრივი ინტერესები დაბალანსებულია, საქართველოში საქმე პირიქითაა, ტელეკომპანიების პრიორიტეტი კანონმდებლობაში ყოველწლიურად იზრდება მედიისთვის მეტი თავისუფლების მინიჭების საბაბით. საზღვარგარეთ მოქალაქეთა მედიის რეგულირებაში მონაწილეობის სხვადასხვა მექანიზმი იქმნება, იზრდება ჯარიმები სატელევიზიო ეკრანზე ზნეობრივი ნორმების დარღვევისთვის, ჩვენთან, პირიქით, მოქალაქეს მაუწყებლობის შემთხვევაში



სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას კანონის ძალით(!) ართმევენ და ამას საკონსტიტუციო სასამართლოც ადასტურებს. ეს კი ქართული სამართალმცოდნეობის ღრმა კრიზისზე მიუთითებს.

ბოლო წლებში ტელეკომპანია „იმედსა“ და კომუნიკაციების კომისიის მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ათობით საჩივარი ჰქონდა მიღებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ურიცხვ დარღვევაზე, რადგან ჯარიმების არარსებობის გამო ტელეკომპანიები არ იცავდნენ წესებს. სამუშაოდ, არც ამ დარღვევათა განხილვა ხდება და არც მათზე რეაგირება.

საყურადღებოა, რომ ტელეკომპანიების შემოსავალი 2005 წლიდან სამჯერ გაიზარდა და 30-დან 90 მილიონ ლარს მიაღწია. შესაბამისად გაიზარდა კომუნიკაციების კომისიის შემოსავალიც. ეს შემოსავლები ჩვენი საერთო საკუთრების — სისხლის — ექსპლუატაციის ხარჯზე მიიღება, ამიტომ, ჩვენ, ტელემყურებლებს, არ უნდა წავგართვან უფლება მოვითხოვოთ ჩვენი ინტერესების გათვალისწინება, მითუმეტეს, რომ მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოები სხვა ქვეყნებში, რომელთა ანალოგიითაც შეიქმნა საქართველოში კომუნიკაციების კომისია, მოიცავს მომხმარებელთა საბჭოს და ითვალისწინებს მისი საქმიანობის დაფინანსებას; მაუწყებელთა ქცევის კოდექსიც, შესაბამისად ორი მხარის — საზოგადოებისა და მაუწყებელთა — ინტერესების დაბალანსების მიზნით უნდა შექმნილიყო, მაგრამ, როგორც დავრწმუნდით. საქართველოს მაუწყებლობაში საზოგადოების მომხმარებელთა ინტერესები ფაქტიურად უკვე საკანონმდებლო დონეზეა იგნორირებული.

როგორც ვხედავთ, საქართველოში უკვე საქმე ისეა, რომ, თუ ვინმე მკრეხელური ნაწარმოების სასწავლო დაწესებულებაში ან საბავშვო გადაცემაში პორნოგრაფიული ნიგნის რეკლამას საჯაროდ გააპროტესტებს, მის ქცევას რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის დამლას მიაკერებენ. ან კი რაა გასაკვირი, თუ კანონი სასამართლოში მიმართვას კრძალავს! ბუნებრივია, ვინც ამას გააპროტესტებს, კანონს ეწინააღმდეგება და, რა თქმა უნდა, ექსტრემისტი და რადიკალია, რადგან არ უნდა, რომ მორჩილად დაელოდოს 2 თვე თავის საჩივარზე უარყოფით პასუხს. „კავკასიის“ ინციდენტი მოგვაგონებს სიტუაციას, როდესაც საბჭოთა კავშირში მორწმუნეებს და განსხვავებულად მოაზროვნეებს ფსიქიატრიულ სააავადმყოფოებსა და ციხეებში ამწყვედევდნენ. საყურადღებოა, რომ საინფორმაციო სააგენტოთა და

ექსპერტთა ნაწილი, საპატრიარქოს ინიციატივას, გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო დონეზე შეზღუდვის მცდელობად მიიჩნევს. ეს კი ნიშნავს, რომ მათ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაც არასწორად ესმით. სააგენტო www.media.ge-ს ცნობით, ბექა მინდიაშვილს საპატრიარქოს მიერ კანონის მიღების მოთხოვნა უხამსობისა და რელიგიური გრძობების შეურაცხყოფის წინააღმდეგ ცენზურის დანესებად მიაჩნია (№1129 — 16 მაისი, 2010). მისი აზრით, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს საზოგადოების უმრავლესობისთვის რელიგიურად და მორალურად მიუღებელი აზრის გავრცელებას. მინდიაშვილს ავიწყდება, რომ ესა თუ ის აზრი მორწმუნისთვის შეურაცხყოფელი არ უნდა იყოს და პროპაგანდის სახეს არ უნდა ატარებდეს (როგორც დეისადის ნიგნის შემთხვევაში). ამავე სააგენტოს ცნობით, მედია ექსპერტი ზ.ქორიძე მიიჩნევს, რომ საპატრიარქოს მოთხოვნა ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებას, რადგან რთული შესაფასებელია, რა არის უხამსობა. მისი აზრით, კანონით უხამსობის აკრძალვა ადამიანების დეენის დაწესებას ნიშნავს. როგორც ვხედავთ, ამ ექსპერტთა მიდგომა იმეორებს „თავისუფლების ინსტიტუტის“ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც საქართველოში შეუძლებელია მორალის ნორმების დაცვა. როგორც ჩანს, ამ ექსპერტისთვის უცნობია, რომ საქართველოს მაუწყებლობის კანონი უკვე შეიცავს უხამსობის აკრძალვას და მას განმარტავს, როგორც ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს. ამდენად, აშკარა ხდება, რომ ამ ავტორებს აღარ სურთ საზოგადოების უმრავლესობის მიერ დადგენილი ნორმები მათთვის ეტალონი გახდეს!

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ნრეები დაინტერესებული არიან, „კავკასიის“ ინციდენტის გაცილებით მიიმე სურათი დახატონ — პროვოცირებული კონფლიქტი მართლმადიდებლების აგრესიულობით ახსნან და ამ გზით გაამართლონ მორწმუნეთა სამართლებრივი დევნა. ძირითადად რუსული სააგენტოები ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ მშობელთა კავშირის ექსტრემისტებმა ნიგნის ავტორი დეისადე და ტელეკომპანიის ხელმძღვანელი გადაცემის დროს სცემეს, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

საქართველოში ხელოვნურად გამოწვეული ზნეობრივი დევრადაციის პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება. ამის დასტურია საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გადაცემა „აუდიტორიაში“ „ექსპერტების“ მიერ გადაცემა „სიმართლის დროს“ ქება-დიდება, მაშინ, როდესაც ამ გადაცემაში სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე ბენეფისი იმართება.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებაში დაპირისპირების სერიოზული საფრთხე იქმნება, გამოსავალი კი მხოლოდ ერთია: ალდგენილ იქნეს სამაუწყებლო კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით იყო შექმნილი. რაც მთავარია, „კავკასიის“ ინციდენტზე სასამართლო პროცესი უნდა ჩატარებულიყო წინმსწრებ მოვლენათა გათვალისწინებით სტრასბურგის სასამართლოს მიდგომის კონტექსტში, რაც მოვლენათა განვითარებაში ხელისუფლების პასუხისმგებლობას თვალნათლივ წარმოაჩენდა.

ხელისუფლებამ მორწმუნეები სამაგალითოდ დასაჯა მხოლოდ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ მშობელთა კავშირის წევრები აგრესიულად იქცეოდნენ, მაგრამ კონკრეტულ მტკიცებულებებს ვერ ასახელებდნენ. თვალსაჩინოა, რომ ამ ინციდენტს წინ წლებში განმავლობაში საზოგადოებრივი ინტერესებისა და კონსტიტუციური ნორმების აბსოლუტური უგულვებელყოფა უძლოდა, რასაც სატელევიზიო ეთერში რელიგიური გრძობების შეურაცხყოფა და საზოგადოებრივი ნორმების უხეში დარღვევა დაერთო. ეს კი სრულიად ბუნებრივად გამოიწვევდა და კიდევ გამოიწვევს მწვავე დაპირისპირებას საზოგადოებაში.

„კავკასიაში“ პროვოცირებული დაპირისპირების შედეგად დაპატიმრებული უდანაშაულო ადამიანების სასამართლო პროცესზე დაზარალებულებმა აქუბარდამ და გეგეჭკორმა მიუთითეს, რომ 8 განსასჯელს მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია და, რომ მათ მიმართ არა აქვთ პრეტენზიები, ხოლო „კავკასიის“ ჟურნალისტებმა კი აჩვენეს, რომ მათი ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელი არავის შეუშლია. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ რვავე განსასჯელს, უდანაშაულო ადამიანებს, 4,5 წელი მიუსაჯა.

2010 წლის 4 მაისს ახალგაზრდების ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტთან დაპირისპირების გამო იმ 8 განსასჯელიდან ორს დამატებით კიდევ 4 წლიანი პატიმრობა მიესაჯა მიუხედავად იმისა, რომ არავითარი მტკიცებულება მათი დანაშაულისა არ არსებობდა.

როგორც ვხედავთ, ზნეობრივი ნორმების ცვლილებას ფართო საზოგადოება უკვე შეგუებულია საინფორმაციო ბლოკადის გამო (ამ სტატიაში გადმოცემული ფაქტების განხილვაზე უარს ამბობენ ტელეკომპანიები და დიდი ტირაჟის გაზეთები). რამდენიმე ადამიანი, ვინც ხმას იმაღლებდა და ჯერ კიდევ აპროტესტებდა უზნეობას ტელეკრანზე, უკვე ციხეში იმყოფება. ასე რომ, საქართველოში უზნეობის პროპაგანდა უკვე ხელისუფლების, პროკურატურისა და მას-მედიის ხელშეწყობით მიმდინარეობს.

გიორგი ყიფიანი
(სტატია თავის დროზე გამოქვეყნებული იყო გაზეთ „საქართველოში“. ავტორის სურვილით განმეორებით დაგეგმეთ ჩვენთან)

პილატეობა პოლიტიკაში

პოლიტიკურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ცესკო-ში, 150 მანდატიან პარლამენტში მოსახვედრად, 200-კაციანი დეპუტატობის კანდიდატა სია წარადგინა და აქტიური, ყოვლისმომცველი საარჩევნო კამპანიაც განაგრძო. პარლამენტის დეპუტატთა კანდიდატობის სიაში არ აღმოჩნდა, არც თავად ივანიშვილი (მოქალაქეობის არქონის მომიზეზებით) და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი. თუმცა, ვრცელდებოდა ხმები მისი მეუღლის — ეკატერინე ხვედელიძისა და უფროსი შვილის — უტას საარჩევნო სიაში შესაძლო ყოფნის შესახებ. 9 სექტემბერს გაიმართა ნანატრი დებატებიც პოლიტიკური პარტიების პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებს შორის ტელევიზიის პირველ არხზე: შალვა მათელაშვილი — ლეიბორისტული პარტია, გიორგი თარგამაძე — ქრისტიან-დემოკრატები და ვანო მერაბიშვილი — ნაციონალური მოძრაობა. კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ ბიძინა ივანიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა დებატებში მონაწილეობაზე და, უნდა ითქვას, რომ სრულიად არასერიოზული და პოლიტიკურად არაადეკვატური ახირებით. მისი თქმით, მისი ოპონენტი უნდა იყოს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი, ან მთელი მისი მთავრობა, ან მთელი მისი პარლამენტი, ხოლო ყველას საპირსონედ დადგებოდა თვითონ ერთი. აქ კამათს აღარ შეუდგები, ვინცლო, ნაციონალური ხროვის უნებლიე ქომავად არ ვიქცე. ორს ვიტყვი მხოლოდ: პოლიტიკა რინგი არ არის, ბრეჯებით რომ იპოზიორო, — 9 სექტემბრის დებატები იყო პრემიერ-მინისტრობის (მისი მრავალჯერადად გაცხადებული სურვილის) კანდიდატებს შორის!

საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა კანდიდატების ბიძინა ივანიშვილისეულ სიაში, ძირითადად წარმოდგენილია შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლების (ხოლო აჭარაში — ასლან აბაშიძის) ნაცვალის პარლამენტარები და პრივილეგირებული წითელი ინტელიგენცია, ანუ ანტიეროვნული ძალები, რომლებიც მტრობდნენ და დღესაც მტრობენ გამსახურდიას ეროვნულ კონსტიტუციურ ხელისუფლებას. და ეს, არც არის გასაკვირი, რამეთუ თავად ივანიშვილსაც არ ეხატა გულზე დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლება. მან 1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო.

რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი — პირნავარდნილი იმპერიალისტი და პოლიტიკური შუღერი, ვისი ხელეობი ათეულ ათასობით თავისუფლების მოსურნე ადამიანის სისხლითაა შეღებული დნესტრისპირეთიდან კავკასიამდე, ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერით, 1996 წელს მეორედ გახდა იმპერიალისტური რუსეთის პრეზიდენტი და ეს მაშინ, როცა ელცინი სრული კრახის წინაშე იდგა. როდესაც ელცინის იმპერიალისტური სტრატეგიით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან 300 000 მეტი ქართველი იყო გამოდევნილი, ხოლო დაპყრობილი მიწებზე ფსევდო-მშვიდობის დამცველი რუსი ოკუპანტები იდგნენ, რუსეთში გამოჩნდა ქართველი, რომელმაც არ დაიშურა ფინანსები საქართველოს ამ ერთ-ერთი უბოროტესი მტრის სასარგებლოდ: „მეამაყება, რომ ელცინის საარჩევნო შტაბის წევრი ვიყავი და მის საარჩევნო კამპანიას ვაფინანსებდი. მე მოვინახე მექანიზმი, როგორ უნდა გამარჯვებოდა იმ დროს ელცინს...“ ქართველი ოლიგარქის ფინანსებით გაპრეზიდენტებულმა ელცინმა კი მორიგი ეთნონმენდა დაატეხა საქართველოს 1998 წელს გალის მოვლენების სახით, ხოლო სეპარატისტებმა, სოხუმსა და ცხინვალში, ბოროტმოქმედებებისათვის, ელცინისაგან სრული კარტ-ბლანში მიიღეს. აღარაფერს ვიტყვით, ელცინის განკარგულებით გახორციელებულ პუტჩზე დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების დასამოხობად 1992-93 წლებში CHF-ში საქართველოს შეთრების მიზნით.

ბიძინა ივანიშვილის 200 კაციანი საარჩევნო სია

კი ასე გამოიყურება:
 1-კალაძე კახა; 2-კობახიძე მანანა; 3-ალასანია ირაკლი; 4-უსუფაშვილი დავით; 5-სანიკიძე გუბაზ; 6-თოფაძე გიორგი; 7-ძიძიგური ზვიადი; 8-კილურაძე ივანე; 9-საგანელიძე დავით; 10-ლარიბაშვილი ირაკლი; 11-დავითაშვილი კობა; 12-ფორფოლიანი გია; 13-გაჩეჩილაძე გიორგი; 14-ფანჯიკიძე მაია; 15-ბერძენიშვილი დავით; 16-ხადური ნოდარ; 17-გოგუაძე ნინო; 18-ხვედელიძე გელა; 19-ხეჩინაშვილი გიორგი; 20-ჯაფარიძე თედო; 21-ტყემალაძე ზურაბ; 22-სუბარი სოზარ; 23-ბუკია გიგა; 24-ნაცვლიშვილი ლაშა; 25-ჩიქოვანი ირაკლი; 26-იმერლიშვილი ირინე; 27-აგულაშვილი გიგლა; 28-ბერძენიშვილი ლევან; 29-ფანია გოგლა; 30-მიროტაძე ანი; 31-მალრაძე გუგული; 32-ყაჭვიშვილი თამაზ; 33-ვოლსკი გიორგი; 34-გუჯაბიძე ბიძინა; 35-ავდალიანი თამაზ; 36-მამედოვი ალი; 37-პეტრიაშვილი ალექსი; 38-პოლოსიანი რუსლან; 39-კიკნაველიძე შალვა; 40-კობალიანი კარლო; 41-ბაშე-



ლეიშვილი დემურ; 42-ყეინიშვილი ნანა; 43-კაჭახიძე მერაბ; 44-ტრიპოლსკი ერეკლე; 45-ცაგარეიშვილი გიორგი; 46-ოდიშარია მირიანე; 47-ხიდაშელი თინათინ; 48-სესიაშვილი ირაკლი; 49-ვახტანგაშვილი მალხაზ; 50-კბილაშვილი არჩილ; 51-ჭილაძე ზაზა; 52-ბესელია ეკა; 53-კვიციანიძე პაატა; 54-ბარათაშვილი პაატა; 55-მეჩიტოვი იური; 56-დარზიევი მახირ; 57-ხაბელოვი ლერი; 58-ზაქარეიშვილი პაატა; 59-ჩაფიძე ელისო; 60-შიოშვილი თამაზ; 61-მეჭიაური თამაზ; 62-მაისურაძე თემური; 63-თამაზაშვილი ალექსანდრე; 64-წულუკიძე მარინე; 65-ქუცუნაშვილი ზაქარია; 66-ჯოხაძე ქეთევან; 67-ხუბულური თენგიზი; 68-ზალკალიანი დავითი; 69-ჩრდილელი ოთარ; 70-ეზანოიძე ნოდარ; 71-ლორთქიფანიძე დათო; 72-ანანიძე დავით; 73-ნიშნაიანიძე ომარი; 74-ჯავახიშვილი გიორგი; 75-ბერიკაშვილი მანანა; 76-ფლენტი მამული; 77-ხაბარელი შოთა; 78-საყვარელიძე ფრიდონ; 79-ჯაფარიძე ვიქტორ; 80-ავალიანი ვარლამ; 81-პაპუაშვილი ზაზა; 82-დარახველიძე დავით; 83-ხურცილავა მურთაზ; 84-არაბული ვასილი; 85-ქავთარაძე გიორგი; 86-ნიშნაიანიძე მალხაზი; 87-ზვიადური ზურაბი; 88-წულუკიანი თეა; 89-ჩხეტიანი დარეჯან; 90-ნერგაძე თეიმურაზ; 91-დუმბაძე მურმან; 92-გოგიბერიძე შოთა; 93-კურტანიძე ელდარ; 94-დოლიძე ვიქტორ; 95-ჯაჭვლიანი იოსებ; 96-გოგიბერიძე ნანა; 97-გელაშვილი ვალერი; 98-ქინქლაძე ზაქარია; 99-ხალვაში ფატი; 100-აბაშიძე ზურაბ; 101-თოლორაია ედიშერ; 102-სარსანია დათო; 103-შავგულიძე შალვა; 104-ფოფხაძე ბესიკ; 105-ქანთარია ალექსანდრე; 106-მეტრეველი ზაალ; 107-აჩბა ვლადიმერ; 108-დოლიძე ვიქტორ; 109-ხუნდაძე დიმიტრი; 110-ზაბახიძე ინგა; 111-ხიზანაშვილი პაატა; 112-ცაავა მამუკა; 113-ტყემელაშვილი გოდერძი; 114-მეიფარიანი ლევან; 115-კვაჭანტირაძე ზვიად; 116-სანდროშვილი ოლეგი; 117-ჭკუასელი თეიმურაზ; 118-თოლორაია ნონა; 119-ჩხაიძე თეიმურაზ;

120-იზორია ლევან; 121-ჩაჩხიანი მამუკა; 122-სოსელია დავით; 123-სანოძე ნიკოლოზ; 124-ჭკუასელი თამარ; 125-კუტალაძე გურამ; 126-ძიძიგური კობა; 127-ქვეციშვილი დავით; 128-ონოფრიშვილი დავით; 129-ნაჭყებია გიორგი; 130-წერეთელი მალხაზ; 131-გელაშვილი გელა; 132-მეზურნიშვილი გივი; 133-არეშიძე მამუკა; 134-მაჩიტაძე ფრიდონ; 135-ზოიძე შოთა; 136-ბეგაშვილი აკაკი; 137-ნიკლაური მირიან; 138-თათანაშვილი ხათუნა; 139-ხალვაში როსტომ; 140-საბულუა ირაკლი; 141-არეშიძე გიორგი; 142-შუკვანი ვახტანგ; 143-სამხარაძე ლაშა; 144-კუბატაძე გურამ; 145-მჭედლიშვილი მალხაზ; 146-სოსელია ლევან; 147-ჩართოლანი დავით; 148-ახვლედიანი გიორგი; 149-ობოლაძე ალექსანდრა; 150-გოგავა იმედო; 151-ხურცილავა მარინე; 152-ნეფარიძე ლანა; 153-კაჭარავა რევაზ; 154-შევარდნაძე ნაზიკო; 155-ბაქიროვი რამიზ; 156-კაჭახიძე დავით; 157-აკობიან სტეპან; 158-კეველიშვილი გელა; 159-ახვლედიანი ირმა; 160-სალუქვაძე თეიმურაზ; 161-ბერაია ირაკლი; 162-ჩიკვაძე ზურაბ; 163-ხაჭაპურიძე შალვა; 164-მონიავა პაატა; 165-ჩხრაძე ანა; 166-წინავა გენრიეტა; 167-ლაშხი თამარ; 168-სამხარაული გელა; 169-სილაგაძე მაია; 170-ალიევი ქამილ; 171-საგინაძე ზია; 172-მეთაფლიშვილი ზაზა; 173-ბერბერაშვილი გოდერძი; 174-ჯიქია ვლადიმერ; 175-გოგასძე ზაალი; 176-ჯახუტაშვილი თეონა; 177-ტაბატაძე ალესანდრე; 178-გოგოლაძე თამარ; 179-ბარბაქაძე გოგი; 180-ფოფხაძე გედევანი; 181-ქანაშვილი ზვიად; 182-ჯაბიძე გოჩა; 183-სალაძე გიორგი; 184-წულაია ნიკოლოზ; 185-ხორგუაშვილი მიხეილ; 186-მუშკუდიანი მაგდანა; 187-გამეზარდაშვილი ზურაბ; 188-გაზდელიანი გია; 189-ლაზარიაშვილი მალხაზ; 190-ჯანიაშვილი გურამ; 191-ხაფავა უშანგი; 192-დავითაძე ავთანდილ; 193-ტალახაძე ვახტანგ; 194-ჯამბაზიშვილი სალომე; 195-ცერცვაძე კახა; 196-ტალახაძე ზაზა; 197-მუსხელიშვილი გიორგი; 198-დვალაშვილი გიორგი; 199-კაკაბაძე დავით; 200-ხმალაძე ვახტანგ.

ლიახ, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბატონი ივანიშვილი ქართველ ამომრჩევლებს თავაზობს რა სავსებით მიუღებელ, ან მეტ-ნაკლებად მისაღებ საკუთარ კანდიდატებს, ამასთანავე, იმპერატიულად ითხოვს, სწორედ ესენი აირჩიონ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებმა. და ეს მაშინ, როცა თავად პრემიერ-მინისტრობაზეც კი აღარ ოცნებობს (სწორედ ამით იყო რეალურად განპირობებული, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატების შემოსხენებულ დებატებში, მისი არმონაწილეობა). ხოლო, რაც შეეხება ე.წ. „ქართული ოცნების“ კოალიციურ ხუზულას, არჩევნების შემდგომ, ივანიშვილს მისი დამლა აქვს გადაწყვეტილი. დღეს უკვე პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეობის არქონა, მისი პოლიტიკური შეცდომა კი არა, არამედ, პოლიტიკური კოზირი და პიარ-კამპანიის ნაწილი იყო (რისი ეჭვიც ჩვენ წინა წერილში გამოვთქვით, რომ მას, უწინარესად მოქალაქეობაზე უნდა ეზრუნა და შემდეგ შემოსულყო პოლიტიკაში). მართალია, პოლიტიკაში მეტეორივით შემოჭრილი ივანიშვილი ფინანსურად რამდენიმე მილიონით დააზარალა სააკაშვილ-მერაბიშვილმა, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ხუთმილიარდიანი კაპიტალი, ალბათ მალე, სულ ცოტა, 2 მილიარდით მაინც შეივსება. საქართველოს პარლამენტში კი ოთხი წელი იბოგინებს „ქართული ოცნების“ კოალიციური სითი გასული ანტიქართველი პოლიტიკური სპეკულიანტების ბანდა, რომლებიც ნაციონალურ ხროვასთან უწინსონში მიიღებენ საქართველოს ტოტალურად საზიანო კატასტროფის მომტან კანონებს.

ხელდაბანილი და ამ პოლიტიკური ვაქცანალიდან გამქრალი ივანიშვილი კი, კვლავ უწინმარჩინ პერსონაჟად გადაიქცევა.

ამას ჰქვია... პილატეობა პოლიტიკაში.
 ლეილა ცომაია

სად რაოდენი სოფლისი სხოვრობს

(უკანასკნელი მონაცემები)

ავსტრალია	45,000	ერაყი.....	3000	სენეგალი	15
ავსტრია	3000	ირანი.....	150,000	სინგაპური.....	35
ალბანეთი.....	500	ესპანეთი	1000	სირია.....	100,000
ინგლისი	12,000	იტალია.....	2000	სუდანი	1000
არგენტინა.....	130,000	ყაზახეთი.....	10,000	აშშ	1000000
ბელორუსია.....	25,000	კანადა	50,000	ტაჯიკეთი	3000
ბელგია	5000	კვიპროსი	2000	ტაილანდი	40
ბრაზილია.....	20,000	ჩინეთი.....	16	თურქმენეთი	20,000
ბულგარეთი	30,000	ყირგიზეთი.....	1000	თურქეთი	80,000
ვენესუელა	2500	კოტ - დ 'ივუარი.....	20	უზბეკეთი.....	70,000
ვიეტნამი	8	კუბა.....	100	უკრაინა.....	150,000
განა	15	ქუვეითი	5000	ურუგვაი.....	19,000
გერმანია	40,000	ლატვია.....	2500	ფილიპინები	8
ჰოლანდია	3000	ლიბანი	130,000	ფინეთი.....	1000
ჰონგ-კონგი.....	16	ლიტვა	2500	საფრანგეთი.....	450,000
საბერძნეთი.....	20,000	ლუქსემბურგი.....	6	ჩეხეთის რესპუბლიკა.....	10,000
საქართველო.....	60.000	მექსიკა	50	ჩილე	1000
დანია	3000	მოლდოვა	7000	შვედეთი	3000
ევგვიპტე.....	10,000	ნორვეგია	1000	შვეიცარია	3000
ზამბია	10	ახალი ზელანდია	600	ესტონეთი	2000
ისრაელი.....	3000	არაბ. გაერ. საემ.	3000	ეთიოპია	90
ინდოეთი	200	პოლონეთი	100,000	იუგოსლავია.....	10,000
ინდონეზია	10	რუსეთი	1700000	სამხრეთ აფრიკა.....	200
იორდანია	3000	რუმინეთი.....	10,000	იაპონია	1

ედუარდ შევარდნაძე განეკლებათ



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ეროვნული მოძრაობის აღმავლობას ედუარდ შევარდნაძე ყოველმხრივ მტრობდა. როდესაც ნათელი გახდა რომ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ აღარ სჭრიდა ძველი მეთოდები საჭიროდ ჩათვალა სამხედრო გენერალიტეტთან ერთად ახალი უკვე სამხედრო მეთოდების ამოქმედება. 1989 წლის სექტემბრის პირ-

ველ რიცხვებში სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა აფხაზეთში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს, ხოლო შემდეგ თბილისში სსრკ შეიარაღებული ძალების სამხრეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდალს, არმიის გენერალ ნ.ი. პოპოვს; სამხრეთის მიმართულების ჯარების სამხედრო საბჭოს წევრს - პოლიტიკური სამმართველოს უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ა.ი. ოვჩინიკოვს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ვ.ო. პატრიკეევს; სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრს - პოლიტიკური სამმართველოს უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ა.ნ. ნოვიკოვს; სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სარდალს. ამ დროიდან საქართველოს ეროვნული მოძრაობის ჩასახშობად სამხედრო მეთოდებმა სრული პრიორიტეტი მიიღეს. ამ ბრუნის უკან კი ედუარდ შევარდნაძის პირდაპირი გარეგნობა იდგა გენერალიტეტთან. ეს თვალნათლივ გამოჩნდა 1989 წლის 6 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცკ ბიუროს სხდომაზე, სადაც ედუარდ შევარდნაძემ მიიღო უშუალო მონაწილეობა (იხილეთ გაზეთი „კომუნისტი“, № 208 (20549) 8.09.1989 წ.). საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა ტერორისტული შეიარაღებული ორგანიზაცია „მხედრონი“, სუპარატისტებმა კი რევოლუციური უკანონო გასამხედროებელი ფორმირებები ჩამოაყალიბეს. საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიმართ თვითსობრივად ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა.

დავით არაბიძე

მალაზიეში ფალსიფიცირებული ყველი იყიდა

ოცნლიანმა სოციალურმა სიდუხჭირემ დამანგრეველად იმოქმედა ქართველი ადამიანის ზნეობასა და მორალზეც. შევარდნაძე-სააკაშვილის ანტიხალხური ხელისუფლებისაგან სოციალურად დაუცველი და შიმშილით სიკვდილისათვის განწირული ხალხის მასა, თავის გადარჩენას აფიორითა და ურთიერთმოტყუებით ცდილობს. უმუშევართა პროცენტულ უმრავლესობას სოციალური დონით დიდად არ აღემატება დასაქმებულთა მდგომარეობა. დაბალი ხელფასები, მონური სამუშაო პირობები და 12-სათიანი სამუშაო განაკვეთი არ ანიჭებს მშრომელს სიხარულის განცდას, არამედ შურაცხყოფს მის პიროვნულ ღირსებას და ამღვრევს მის ფსიქოლოგიას. იგიც, უმუშევრის მსგავსად, პიროვნული დეგრადირების პროცესშია და უძღურია გამოასწოროს მდგომარეობა.



ბაზრებში, მაღაზიებსა თუ გარემოვაჭრეთა კუსტარულ „დახლებზე“, მსხილფეხა და წვრილფეხა საქონლის ხორცის სანაცვლოდ, გახშირდა ძაღლის ხორცისა და ფალსიფიცირებული ყველის გაყიდვის ფაქტები. მოვაჭრეები მყიდველებს, როგორღაც ხარისხიან ყველს ასინჯებენ, ხოლო სახლში მიტანილი ყველი კი წყლით ხელოვნურად გაჭყეპილი, გემოდაკარგული, სიმყავედაკრული და სრულიად უცხიმო აღმოჩნდება. ყველის წონის მოსამატებლად, გამყიდველებს იქვე უდგათ წყლით სავსე ვედროები, რითაც აჯერებენ ყველს, ხოლო წყლით გაჯერებული ყველი კი ხელში მრავალწინილად იშლება. ფაქტზეც რომ წაასწრო და მიუთითო, ვერაფერს გახდები — ინტრიგანობაში დაგადანაშაულებენ და აღარ მოგყიდნიან ყველს! ამგვარ დანაშაულებრივ ქმედებებს ყველის მოვაჭრეები, განსაკუთრებით, სანაქებო და ყველაზე მოთხოვნადი მეგრულ-იმერული ყველის სახეობების მიმართ ახორციელებენ. თუ ჭყინტი ყველის ყიდვა მოინდომე, სულ მთლად განწირული ხარ — გამყიდველები ხელოვნურად ჭყინტადქცეულ — წყალში დამბალს შემოგასაღებენ და როგორც ზემოთ ვთქვი, არც მშრალ ყველს აკლებენ წყალს.

იმის გამო, რომ გლეხს მოუსპეს საკუთარი პროდუქციის ბაზარში მიტანისა და გაყიდვის ყოველგვარი საშუალება, ხარისხიანი და ნატურალური ყველი, თითქმის გაქრა მაღაზიებიდან და დახლებიდან. სახელმწიფო კონტროლი კი არასაკმარისია და თითქმის არ არსებობს!

ქეთევან ჭანტურია

ვინ იყო მაქინი და რანი პრინცი პისი მართლადი პიქტორი

ჩვენს პუბლიკაციაში საუბარი გვექნება ეროვნულ დემოკრატიულ ნოღებულ გიორგი ჭანტურის შესახებ, რომელმაც ლომის ნილი დაიდო საქართველოში კრიმინალური და კორუპციული ნომინკლატურის რეგანის განხორციელებაში. ვასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ედუ-დ ნოდებული ჯგუფი გამოვიდა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ასპარეზზე, იმ დროისათვის საქართველოში ცხოვრობდა საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უკანასკნელი მოპიკანი ბატონი პალიკო გოგელია, რომელიც ეროვნული მოძრაობის აღზევების-თანევე ჩადგა ჭეშმარიტ მამულიშვილთა რიგებში. ის იყო ბერი მინდა, რომელიც წინ მიგვიძღოდა სამშობლოს თავისუფლების გზაზე (გარდაიცვალა 90-იან წლებში).

ბატონი პალიკო გოგელია არ ცნობდა ჭანტურის მარაქას, არ აღიარებდა ამ ჯგუფს იმ ჭეშმარიტი ეროვნული იდეების მატარებელი პარტიის მემკვიდრედ, რომლის შექმნის იდეა უკავშირდება საქართველოს უგვირგვინო მეფის, წმინდა ილია მართლის სახელს. წმიდა ილია მართალმა პარტიის პროგრამა 1906 წელს შეადგინა, მაგრამ მასონი სოციალ-დემოკრატების და რუსეთის იმპერიის ფანდარმერიის მიერ ილია მართლის ვერაგული მკვლელობის გამო ვერ მოხერხდა ამ იდეის ხორცშესხმა. 1917 წელს სპირიდონ კედიამ თანამოაზრებთან ერთად (დათა ვაჩაბაძე, რევაზ გაბაშვილი, ალექსანდრე ასათიანი, ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კონსტანტინე აფხაზი...) ილიას მემკვიდრეობაზე დაყრდნობით დააფუძნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს თავად სპირიდონ კედი, პარტიის საპატიო თავმჯდომარედ კი ნიკო ნიკოლაძე.

ბატონმა პალიკო გოგელიამ იმ ხანებში ხალხმრავალ მიტინგებზე მრავალჯერ განაცხადა მისი დამოკიდებულება ჭანტურის ჯგუფის მიმართ და ახსელდა კიდევ ამ პარტიის დესტრუქციულ ქმედებებს, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ეროვნულ-დემოკრატიულ იდეებთან.

რამდენიმე ათეული წლის წინ ქართული საზოგადოების უდიდეს ნაწილს არაფერი სმენოდა იტალიელი ჯუზეპე მაქინის შესახებ, რომელიც XIX-საუკუნის იტალიელი მოღვაწე გახლდათ. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მაქინის სახელის ხსენება ქართულ ყოფაში აქტიურად შემოიტანა ეროვნულ დემოკრატიულ ნოდებულმა გიორგი ჭანტურამ, რომელიც თავს წარმოგვიჩინდა მის მიმდევრად: „ჩვენ ვართ მე-20 საუკუნის ქართველი მაქინისტები, ვიცით, რომ ვივლით მხოლოდ პოლიტიკური გზით და შეცდომას ვერ დავუშვებთ, იმიტომ, რომ მართალი ვართ ღვთისა და ერის წინაშე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ თამაშობს ხალხის გრძნობებს.“



ბეზუბე. ჩვენ ბრბოს ვაქცევთ ხალხად...“ (გ. ჭანტურია, ვახუთი „ლიტერატურული საქართველო“, 18.X.896.). წესით და რიგით, ქართველი ეროვნულ-დემოკრატები ილიელები უნდა ყოფილიყვნენ და არა მაქინისტები. წმინდა ილია მართალს არც რა ჰქონდა საერთო ქრისტესა და ადამის მოდგმის მოძულესთან.

პატრიარქის სტიქაროსან გია ჭანტურისა, თუ მაქინის მიმდევარი იყო, რა უნდოდა მართლმადიდებლურ ეკლესიაში? დაიბ, გიორგი ჭანტურია, ხან სტიქარს იცვამდა და ხან კიდევ მაქინიულ ფრაკს.



ჯუზეპე მაქინი

თავისუფალი კალატორები იღებდნენ სიმბოლიკას ქვისმთელთა გილდიისაგან, ასევე იღებენ კარბონარები თავიანთ წესებსა და სახელწოდებებს მენახშირეთაგან.

1830 წელს თავის თანამებძროლთაგან დასმენილი მაქინი სამი თვით ჩაკეტეს საფონას ციხეში. განთავისუფლების შემდეგ ის მიდის ემიგრაციაში ფენევაში. ფენევიდან ის ხელმძღვანელობდა გენუასა და სავოიაში წარუმატებელ გადატრიალებებს, რიც გამოც მას სარდინიაში დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილი.

1931 წელს ის ფენევიდან გადადის ლიონში და იქიდან კი მარსელში, აქ მან დაარსა ახალი მოძრაობა — „ახალგაზრდა იტალია“, რომლის იმავე სახელწოდების გაზეთს არალეგალურად ავრცელებს იტალიურ სამთავროებში. 1830-იანი წლების დასაწყისში მაქინის ჯგუფს შეუერთდა პოპულარული რევოლუციონერი ჯუზეპე გარბაღალი.

1834 წელს ბერნში გაერთიანდა მაქინის მიერ დაარსებული გაერთიანებული „ახალგაზრდა იტალია“, ახალგაზრდა გერმანია“ და „ახალგაზრდა პოლონეთი“ ერთი დევიზით „თავისუფლება — თანასწორობა — ჰუმანიზმი“ ერთ საიდუმლო კავშირში „ახალგაზრდა ევროპა“, რომელიც მთავრებისა და მეფეების ევროპის ნაცვლად დემოკრატიული სახალხო ევროპისაკენ მიისწრაფოდა. 1837 წელს ის ტოვებს შვეიცარიასა და მიდის ლონდონში. იქ მან თავი მოუყარა იტალიელ მუშებსა და ეწეოდა აგიტაციას უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. მისმა მომხრეებმა ჩამოაყალიბეს პატრიოტული ორგანიზაცია.

